F750N2434

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი | № 202 (11206) | შაბათი, 2 სექტემბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

## დავაჩქაროთ სილოსის ჩადება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომლები თავგადებით იბრძვიან საზოგადოებრივი მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებისათვის. ლოზუნგი — დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ — პირველი რიგის საბრძოლო ამოცანად აქვთ დასახული ჩვენს შრომისმოყვარე კოლმეურნეებს, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების მუშებს და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს.

რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ძროხების მოვლა-პატრონობის, მათი ჯიშობრივი შემადგენლობის სისტემატური გაუმჯობესებით და საკვები ბაზის განმტკიცებით თვალსაჩინოდ გაზარდეს პირუტყვის პროდუქტიულობა. ძროხების წველადობის გადიდებაში თუმცა დიდ როლს ასრულებს ჯიშიანობა და ზოოვეტერინარული მომსახურება, მაგრამ წველადობის ზრდის მთავარი პირობა მაინც საკვებია. ტყუილად როდი ამბობს ხალხური თქმულება: ძროხას ენის წვერზე აქვს რძეო. თუ პირუტყვს არ მოვაკლებთ ყუათიან საკვებს, მაშინ რძესაც მეტს მოგვცემს. მოწინავე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ითვალისწინებენ რა ამ გარემოებას, ახლავე ქმნიან პირუტყვისათვის საკვების დიდ მარაგს. ეშურებიან ბუნებრივი ბალახების თიბვას, სილოსის ჩადებას, კონცენტრირებული საკვების მომარაგებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებს წელს ნაკისრი აქვთ გადიდებული ვალდებულება: გარდა უხეში საკვებისა, პირუტყვისათვის დაამზადონ 2.000.000 ტონა სილოსი. ამ მეტად სასარგებლო წვნიანი საკვების უდიდესი მნიშვნელობა ყველასათვის ცნობილია. ამიტომ არის, რომ მოწინავე მეურნეობები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით დაამზადონ სილოსი. საქართველოს ბევრ რაიონში სილოსის ჩადება გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს. ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწევიან საგარეჯოელები. ისინი ხომ ამ საქმეში სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები არიან. მათ ივალდებულეს თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 400 ცენტნერი სიმინდის მწვანე სასილოსე მასა და რაიონში პირუტყვისათვის ჩადონ 60.000 ტონა სილოსი. ასეთი გადიდებული ვალდებულება რესპუბლიკაში არცერთ რაიონს არ აუღია. საგარეჯოელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება და საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის შექმნან მტკიცე საკვები ბაზა. მათ 1 სექტემბრისათვის უკვე ჩადებული ჰქონდათ 40.515 ტონა სილოსი ანუ ვალდებულების 67,5 პროცენტი. ამ რაიონის სამი სოფლის — მანავის, გომბორის და ჩაილურის კოლმეურნეობებმა უკვე შეასრულეს სილოსის დამზადების დავალებანი. დანარჩენი კოლმეურნეობები იბრძვიან, რათა 10 სექტემბრისათვის შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება. მიუხედავად იმისა, რომ სიმინდის ნათესები დააზიანა სეტყვამ, საგარეჯოელებს ამის გამო არ დაუწყიათ წუწუნი, პირიქით, გამოიჩინეს მეტი ორგანიზებულობა და ახლა მასობრივად სჭრიან რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში შესულ სიმინდს სასილოსედ. აქ ფართოდ იყენებენ მიწისზედა დასილოსების მეთოდს.

საგარეჯოელთა მაგალითისამებრ ყოველდღიურად აძლიერებენ სილოსის ჩადების ტემპს მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის, გურჯაანისა და ზოგიერთი სხვა რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. მაგრამ რესპუბლიკაში სილოსის დამზადება ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობებით, 1 სექტემბრისათვის სულ დამზადებული იყო 540.842 ტონა სილოსი. სილოსის ჩადება სამარცხვინოდ ჩამორჩება აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, თერჯოლის, თიანეთის, ბორჯომის, აბაშის, გეგეჭკორის, წალენჯიხის, წულუკიძის, ლანჩხუთის, სამტრედიის, კასპის, საჩხერისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები და ზოოვეტსპეციალისტები ყოვლად დაუშვებელ უპასუხისმგებლობას იჩენენ სილოსის დამზადებისადმი. მაგალითად, თერჯოლის რაიონის სოფელ ღვანკითის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსმა გ. ვაჭარაძემ არც კი იცის წელს რამდენი ტონა სილოსი უნდა ჩადონ. ამავე კოლმეურნეობაში სილოსის ჩასადებად გათიბეს ბალახი, მაგრამ თავმჯდომარის განკარგულებით დაზვინეს, ასე აჯობებსო, სასილოსე ორმოები კი წყლითა და ბაყაყებით აივსო. ადიგენის რაიონის სოფლების ზანავის, პატარა სმადის, ფლატის, ჯარათუბნისა და უდის კოლმეურნეობებში სილოსის ჩადებას აჭიანურებენ. იმის გამო, რომ დროზე არ შეუდგნენ სილოსის დამზადებას, ბუნებრივი ბალახები გადამწიფდა, სიმინდის ნათესები კი სილოსისათვის არ ჰყოფნით. მსგავსი მდგომარეობაა ბათუმის, ქობულეთის და აჭარის სხვა რაიონების კოლმეურნეობებში.

სილოსის დამზადების საუკეთესო ვადები გადის. სიმინდი უკვე შესულია რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში. უნდა დაჩქარდეს მისი მოჭრა და დასილოსება. ზოგიერთ რაიონში ცდილობენ როგორმე თავი აარიდონ ტაროიანი სიმინდის დასილოსებას. თვით ცალკეულ ხელმძღვანელ ამხანაგებშია არასწორი განწყობილება, როცა ფიქრობენ სიმინდი ჯერ მარცვლად აიღონ, შემდეგ კი მისი ღეროები აჭრან და დაასილოსონ. თუ რა ძვირფასი ღირებულება ექნება გაუხეშებული და გამოფიტული ღეროს სილოსს, განა ეს ყველასათვის არ არის ცნობილი?!

რაიონების ხელმძღვანელმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ მათს რაიონებში სილოსის დამზადების საქმეში არსებული მდგომარეობიდან, დასახონ ქმედითი ღონისძიებანი ჩამორჩენის გამოსასწორებლად და ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი. მეტად სერიოზული მუშაობა მართებთ ამ დღეებში სოფლის მეურნეობის რაიონულ ინსპექციებს. სწორედ ახლა უნდა გამოვლინდეს მათი ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი როლი. მტკიცებას არ საჭიროებს, რომ რაიონში, სადაც სილოსის დამზადება სამარცხვინოდ ჩამორჩება, მოწოდების სიმაღლეზე არ დგას რაიონული ინსპექციის მუშაობა. პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის ერთ-ერთ ძირითად საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს.

ორი მილიონი ტონა სილოსის დამზადება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ამ ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად ყველა პირობა და საშუალება გვაქვს. საჭიროა დავრაზმოთ მთელი ძალები მისი ღირსეულად შესრულებისათვის.

## დეპეშა

ბუქარესტიდან — 1958 წლის 30 აგვისტო

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს

### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

მოსკოვი

ძვირფასო ამხანაგებო, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, [illegible]

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი,

**კივუ სტოიკა,**

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე,

**იონ გეორგე მაურერი,**

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

## დეპეშა

ბუქარესტიდან — 1958 წლის 30 აგვისტო

### საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ა. ა. გრომიკოს

მოსკოვი

მხურვალე მადლობას გიძღვნით გულითადი მილოცვისათვის, რომელიც გამომიგზავნეთ ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების მე-14 წლისთავის გამო.

**ავრამ ბუნაჩიუ,**

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია გაემგზავრა ფინეთის კომუნისტური პარტიის მე-40 წლისთავის დღესასწაულზე

ფინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევის გამო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დანიშნა დელეგაცია ფინეთის კომუნისტური პარტიის დაარსების მე-40 წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად. დელეგაციაში შედიან: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ო. ვ. კუუსინენი; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ვ. სპირიდონოვი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კარელიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ლუბენიკოვი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ითხოვა ფინეთში ჩასასვლელი ვიზები აღნიშნული დელეგაციის წევრებისათვის. მაგრამ ფინეთის საელჩომ სსრ კავშირში, დაიმოწმა რა თავისი მთავრობის ინსტრუქცია, უარი თქვა მიეცა ფინეთში ჩასასვლელი ვიზა ო. ვ. კუუსინენისათვის. დელეგაცია ი. ვ. სპირიდონოვისა და ლ. ი. ლუბენიკოვის შემადგენლობით ფინეთს გაემგზავრა.

## სიმინდის მიწისზედა დასილოსება მახარაძის რაიონში

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობისა და ვეტერინარიის ინსტიტუტი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ფ. კვაშალის ხელმძღვანელობით მახარაძის რაიონში პირველად აწარმოებს საჩვენებელი წესით სიმინდის მწვანე მასის ცვილისებრ სიმწიფეში დასილოსებას მიწისზედა წესით — ბურტებში. ამ წესით სილოსის დამზადების გასაცნობად აქ მოიწვიეს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, მეცხოველეობის ფერმების გამგეები, ზოოტექნიკოსები და სხვ.

მიწისზედა დასილოსების ახალი წესის შემოღება დიდ ინტერესს წარმოადგენს დასავლეთ საქართველოსათვის. მაგალითად, მახარაძის რაიონს 13 ათასი ტონის ტევადობის სასილოსე კოშკები აქვს, ხოლო თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 10 ტონის ანგარიშით, სჭირდება 22 ათასი ტონა სილოსი. სილოსის მასის ასეთი დანაკლისი ანაზღაურებულ უნდა იქნას მიწისზედა დასილოსებით. დასილოსება წარმოებს 12 მეტრი სიგრძის, 5 მეტრი სიგანისა და 2,5-3 მეტრი სიმაღლის ბურტებში. თვითეული ბურტი დაიტევს 90 ტონა სილოსს. მიწისზედა დასილოსება დასავლეთ საქართველოში ამ წესით პირველად წარმოებს სამტრედიის, ზესტაფონის, ცხაკაიას, მახარაძის, ქობულეთის და გულრიფშის რაიონებში.

მოკავშირე რესპუბლიკების კოლმეურნეობათა მონაცემებით ასეთი წესით დასილოსება კარგი ხარისხის სილოსს იძლევა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია საჩვენებელ მიწისზედა დასილოსებას აწარმოებს მახარაძის რაიონის სოფელ მაკვანეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც 435 ტონის ტევადობის სასილოსე კოშკები აქვთ, ხოლო ფაქტიურად 710 ტონა სჭირდებათ, სოფელ შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც 435 ტონის ტევადობის სასილოსე ნაგებობები აქვთ, ფაქტიურად 710 ტონა სჭირდებათ.

საინტერესოა აგრეთვე აღინიშნოს, რომ ადგილზევე ხდება სასილოსე მასის ხარისხისა და ამ წესის ეკონომიური ეფექტის შესწავლა. მოძრავ ლაბორატორიას ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ა. შტეინბერგი.



სურათზე: სასილოსე მასის მიწისზედა წესით ბურტად ჩადება მახარაძის რაიონის სოფელ მაკვანეთში.

ტექსტი და ფოტო ა. აბულაძისა.

## სწავლაში ახალი წარმატებებისათვის, ახალგაზრდებო!

### ბედნიერი ნორჩების დღესასწაული

[illegible]

## პირველი ზარი



[illegible] ...ნი რამ გამოცვლილა მათს აქ არყოფნაში, აუშენებიათ ახალი, მაღალი სახლები, ქუჩები, ბაღები, სკვერები... უფრო ლამაზი გამხდარა საყვარელი თბილისი. არც ისინი მსხდარან უქმად. ვინ მოთვლის, რამდენი ახალი წიგნი წაიკითხეს მათ, რამდენი ჰერბარიუმი და კოლექცია შეადგინეს, მოიარეს საქართველოს მრავალი კუთხე, ნახეს ფშავ-ხევსურეთი, სვანეთი, მთათუშეთი.

დაბრუნდნენ ისინი დასვენებულნი, გაკაჟებულნი, ენერგიით აღსავსენი... მათ თითქოს გამოცვლილი დახვდათ სასკოლო შენობები... ამ ნათელ შენობებში ახალი სასწავლო წლის დღესასწაულია. ჩვენ ამ დიდი სიხარულის მოწმენი თბილისის 42-ე საშუალო სკოლაში გავხდით. პირველ[illegible] ...ბის მოსწავლეებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს პატარებს, ყვავილების თაიგულები და წიგნები უსახსოვრეს მათ.

ამ პატარებზე ნაკლებად არ ღელავდნენ ისინი, რომლებმაც პირველად შედგეს ფეხი უმაღლეს სასწავლებელში და დაადგნენ დიდი ცხოვრების გზას... თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, პოლიტექნიკურ, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა, პედაგოგიურ და უცხო ენების ინსტიტუტებში ორგანიზებულად დაიწყო ახალი სასწავლო წელი.

* * *

**სურათზე:** თბილისის 42-ე სკოლის პირველკლასელი და მეათეკლასელი მოსწავლეების შეხვედრის მომენტი.

## დაიწყო სწავლა

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). პირველ სექტემბერს დილიდანვე უჩვეულო გამოცოცხლება იგრძნობოდა ქუთაისის უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და სკოლებში. საკლასო ოთახები, აუდიტორიები, კაბინეტები და ლაბორატორიები ჭაბუკებითა და ქალიშვილებით აივსო.

ახალ სასწავლო წელს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა მეორე საშუალო სკოლა, რომელსაც საუკეთესოდ მოწყობილი სახელოსნოები, კაბინეტ-ლაბორატორიები და სასწავლო მიწის ნაკვეთი აქვს. აქ 800-ზე მეტი მოსწავლის კომუნისტურად აღზრდის საქმეს 80-ზე მეტი მასწავლებელი ემსახურება. მოსწავლეთა ზეიმზე, რომელიც ახალი სასწავლო წლის დაწყებას მიეძღვნა, უფროსკლასელებთან ერთად მოვიდა 90 პირველკლასელი. სკოლის დირექტორმა ამხ. ი. გენძეხაძემ მოსწავლეებს მხურვალედ მიულოცა ახალი სასწავლო წლის დაწყება და უსურვა შემდგომი წარმატებები სწავლასა და შრომაში. მოსწავლეთა შეკრებაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა მეექვსეკლასელი რ. არქაია, ხოლო ლექსით გამოვიდა პირველკლასელი ა. კვარაცხელია.

ახალი სასწავლო წლის პირველ დღესვე ორგანიზებულად განახლდა მეცადინეობა ქალაქის 29 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, რომლებშიც 16.000-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს.

## მეშახტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

30 აგვისტოს თბილისში, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს კომბინატ „საქნახშირის" და ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საზეიმო სხდომა რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი მეშახტეთა ტრადიციული დღესასწაულის — მეშახტის დღისადმი.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები პ. კოვანოვი, გ. ქადაგიძე, გ. ჩოგოვაძე, ე. შევარდნაძე.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. ძიძიგურმა.

მოხსენება მეშახტის დღის შესახებ გააკეთა კომბინატ „საქნახშირის" უფროსმა ამხ. ბ. გუჯეჯიანმა.

რესპუბლიკის მეშახტეებმა მეშახტის დღე აღნიშნეს ახალი შრომითი წარმატებებით. ტრადიციული დღესასწაულისათვის მათ გადაჭარბებით შეასრულეს ქვანახშირის ამოღების აგვისტოს გეგმა. მაგრამ საქართველოს მეშახტეები ვალში არიან ჩვენი ქვეყნის წინაშე, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს ქვანახშირის მრეწველობის განვითარებას, მის აღჭურვას ახალი ტექნიკით. საქართველოს ქვანახშირის მრეწველობას დიდი გამოუყენებელი რეზერვები აქვს. ჩვენი რესპუბლიკის მეშახტეები ყოველ ღონეს იხმარენ, რომ გაადიდონ ქვანახშირის ამოღება.

მეშახტეებს მიესალმნენ ქალაქის პარტიული ორგანიზაციებისა და მშრომელთა სახელით საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ჭახრაკია, პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სახელით — ამხ. მ. ბრეგაძე.

მეშახტეებს მიესალმნენ აგრეთვე ქალაქ თბილისის პიონერები.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი. (საქინფორმი).

## ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება 1958 წლის 1 სექტემბრისათვის

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა 1958 წლის 1 სექტემბრისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში შესრულებულია 93,5 პროცენტით. დამზადებულია 24,3 ათასი ტონით მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე შარშან ამავე თარიღისათვის.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და საქართველოს სხვა რაიონებში გეგმის შესრულება შეადგენს პროცენტობით:

| | | |
|---|---|---|
| აფხაზეთის ასსრ | | — 97,9 |
| აჭარის ასსრ | | — 90,4 |
| მახარაძის რაიონი | | — 92,6 |
| ჩოხატაურის | „ | — 87,9 |
| ლანჩხუთის | „ | — 87,3 |
| სამტრედიის | „ | — 91,4 |
| წულუკიძის | „ | — 89,2 |
| ქუთაისის | „ | — 104,2 |
| წყალტუბოს | „ | — 109,8 |
| ტყიბულის | „ | — 126,1 |
| ცხაკაიას | „ | — 84,7 |
| აბაშის | „ | — 86,1 |
| გეგეჭკორის | „ | — 88,2 |
| ზუგდიდის | „ | — 95,1 |
| წალენჯიხის | „ | — 96,5 |
| ჩხოროწყუს | „ | — 93,7 |
| ხობის | „ | — 95,4 |
| თერჯოლის | „ | — 118,2 |
| ზესტაფონის | „ | — 66,7 |
| ჭიათურის | „ | — 162,5 |
| ვანის | „ | — 120,0 |

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო.

1958 წლის 5 სექტემბერს საღამოს 7 საათზე შრომის სასახლის სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) მოწვეულია პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მეორე პლენუმი.

**საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი.**

# პარტბიუროს მდივნის ტრიბუნა

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღებულია დაძაბული ბრძოლა ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები განუხრელად ზრდიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას, ამაღლებენ მიწათმოქმედების კულტურას. ყველა ეს წარმატება იმის შედეგია, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა სოფლის პარტიული ორგანიზაციების მუშაობა მასებში.

უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით გაიზარდა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა პარტიის XX ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შემდეგ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები მნიშვნელოვნად გაიზარდნენ და განმტკიცდნენ. ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში 20-25 და მეტი კომუნისტია. მთელ რიგ მეცხოველეობის ფერმებსა და სატრაქტორო ბრიგადებში ჩამოყალიბებულია და ნაყოფიერად მუშაობენ პარტიული ჯგუფები. ზოგიერთი რაიონის მსხვილ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებში შეიქმნა საამქროს ტიპის საბრიგადო პარტიული ორგანიზაციები.

ყოველივე ამის გამო დიდად ამაღლდა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოვალეობა და პასუხისმგებლობა. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით გაიზარდა პარტბიუროს მდივნების ინტერესი პარტიული მშენებლობის საკითხების შესწავლისადმი. რედაქციის სახელზე გამოგზავნილ წერილებში ისინი მოითხოვენ ფართოდ გავაშუქოთ მოწინავე პარტიული ორგანიზაციების გამოცდილება, მოვაწყოთ აზრთა გაცვლა-გამოცვლა ახალ პირობებში პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ფორმებსა და მეთოდებზე.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ გადაწყვიტა დააკმაყოფილოს სოფლის კომუნისტების ეს თხოვნა და შემოიღო განყოფილება „პარტბიუროს მდივნის ტრიბუნა". დღეს ამ განყოფილებაში ქვეყნდება ნ. ბაშინჯაღელის წერილი „საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მუშაობა ახალ პირობებში". შემდგომში ამ განყოფილებაში კვირაში ერთხელ დაიბეჭდება სოფლის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა წერილები შინაპარტიული მუშაობის ძირეულ საკითხებზე: განუხრელად განვახორციელოთ შინაპარტიული დემოკრატია, პარტბიურო კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოა, პარტიული ორგანიზაციის სამუშაო გეგმა, ბრიგადა პოლიტიკური მუშაობის ცენტრია, კომუნისტების პოლიტიკური განათლება და სხვ.

ეჭვი არ არის, რომ სოფლის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები ცხოველ ინტერესს გამოიჩენენ ახლად შექმნილი განყოფილებისადმი და რედაქციას გამოუგზავნიან წერილებს, რომლებშიც გამოთქვამენ თავიანთ აზრს პარტიული მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, მოუთხრობენ ახლებურად მუშაობის პირველ ნაბიჯებსა და მუშაობის გამოცდილებაზე.

## საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მუშაობა ახალ პირობებში

ახლა საკოლმეურნეო სოფელში ბევრი საქმეა. მიმდინარეობს საშემოდგომო თესვისათვის მზადება, მეცხოველეობისათვის საჭირო საკვების დაგროვება, ბოსტნეული კულტურების მოსავლის აღება. მალე მასობრივად დაიწყება ხილის კრეფა. მზრუნველი ხელი არ აკლია შაქრის ჭარხლის პლანტაციას, სიმინდს. ფერმებში გრძელდება მუშაობა მეცხოველეობის პროდუქტიულობის გასადიდებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის და ივნისის პლენუმებმა სოფლის მშრომელებს დიდი ამოცანები დაუსახეს. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით კოლმეურნეობამ მარტო ტექნიკა როდი მიიღო, მანქანებს თან მოჰყვნენ მექანიზატორებიც. საკოლმეურნეო ოჯახს შეემატნენ ახალი წევრები. ჩვენთან სამუშაოდ მოსული 15 მექანიზატორიდან 5 კომუნისტია. გაიზარდა პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობა, ამაღლდა მისი ხარისხი. სატრაქტორო ბრიგადაში შეიქმნა პარტიული ჯგუფი.

კოლმეურნეობის საკუთარი ტექნიკით აღჭურვამ პარტიულ ორგანიზაციას ახალი საზრუნავი შემატა. ახლა მარტო აგროტექნიკისა და ეკონომიკის საკითხების ცოდნა აღარ კმარა. საჭიროა ღრმად ვერკვეოდეთ მანქანა-ტრაქტორთა პარკის საქმიანობაში, ვაფართოებდეთ ჩვენს ცოდნას ამ მხრივ.

მუშაობის ახალი პირობები მოითხოვს კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობაში კომუნისტების შემოქმედებითი აქტივობის გაძლიერებას, მასებში ორგანიზატორული როლის ამაღლებას. ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში 36 კომუნისტია. კომუნისტები ხელმძღვანელობენ ბრიგადებს, ფერმებს, მუშაობენ მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში.

პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური მუშაობის ცენტრშია ახლად შეძენილი ტექნიკის სრული დატვირთვით გამოყენების საკითხი. სატრაქტორო ბრიგადის პარტიული ჯგუფი, რომელსაც კომუნისტი შ. კობახიძე ხელმძღვანელობს, სათავეში უდგას მექანიზატორთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას ტრაქტორების სრული დატვირთვით გამოყენებისა და შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევისათვის. კომუნისტი მექანიზატორები მუშაობის პირადი მაგალითით აღწევენ ყველა მექანიზატორის დარაზმვას მიცემულ დავალებათა ხარისხიანად და გადამეტებით შესრულებისათვის.

ამიტომ არის, რომ კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადამ მტს-ის პირობებში მუშაობასთან შედარებით მიმდინარე წლის პირველ ნახევარში თვითეული ტრაქტორის დატვირთვა 10-12 პროცენტით გაზარდა. ამასთან საკუთარი კომბაინებით ბევრად უკეთესად მოეწყო თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება.

პარტიული ჯგუფის წინადადებით ჯერ კიდევ აპრილში პარტიულ კრებაზე განვიხილეთ სარემონტო სახელოსნოს მოწყობისა და მექანიზატორებისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხი. ეს საკითხი წინასწარ კარგად მოვამზადეთ პარტიული ჯგუფისა და პარტბიუროს აქტივის მონაწილეობით. კრებაზე კომუნისტებმა ბევრი საქმიანი წინადადება და შენიშვნა წამოაყენეს. ამ წინადადებებმა და შენიშვნებმა ასახვა ჰპოვა კრების დადგენილებაში. კრების მეორე დღესვე პარტბიურო სათავეში ჩაუდგა დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლას. სატრაქტორო ბრიგადაში სამუშაოდ გაგზავნილ იქნენ კომუნისტები. კოლმეურნეობის გამგეობამ გამონახა საჭირო თანხები სახელოსნოს მშენებლობისათვის. უკვე ამოყვანილია სახელოსნოს შენობის კედლები. მექანიზატორებს ვ. ტერმაკოზაშვილს, ტ. ფალელაშვილს, შ. მეგრელიშვილს სამოსახლო ნაკვეთები მიეცათ.

კოლმეურნეობის გამგეობის სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის უფლებას სწორად გამოყენებით ვაღწევთ ნაკლოვანებათა დროულად გამოსწორებას, ჩამორჩენილი დარგების დაწინაურებას.

ახალი სამეურნეო წლის პირველ თვეებში მეძროხეობის ფერმაში შრომის დისციპლინა რამდენადმე მოდუნდა, რასაც შედეგად მოჰყვა წველადობის შემცირება. მაგალითად, 1 აპრილისათვის თვითეული ძროხის წველადობა შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით შემცირებული იყო 28 კილოგრამით. ჯერ პარტბიუროს სხდომაზე მოვისმინეთ ფერმის პარტჯგუფორგანიზატორის ქ. მერებაშვილის მოხსენება, ხოლო შემდეგ წველადობის შემცირების საკითხზე პარტიულ კრებაზეც ვიმსჯელეთ. წველადობაში ჩამორჩენის სწრაფად დაძლევისათვის მივიღეთ კონკრეტული დადგენილება. ფერმებში სამუშაოდ დამატებით გაიგზავნენ კომუნისტები. ვეტექიმად მუშაობა დაიწყო კომუნისტმა მ. ასლამაზოვმა, მომვლელებად — კომუნისტმა რ. სეიფაშვილმა და სხვებმა. პარტიულმა ჯგუფმაც მუშაობა გააძლიერა. ფერმასთან შეიქმნა აგიტპუნქტი. ასეთმა მუშაობამ მალე შედეგი გამოიღო. წველადობაში ჩამორჩენა დავძლიეთ. შარშანდელთან შედარებით მიმდინარე წლის შვიდ თვეში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 102 კილოგრამით მეტი რძე.

პარტიული ორგანიზაცია სერიოზულ ყურადღებას აქცევს კოლმეურნეთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. პარტბიურო პერიოდულად ამოწმებს შეჯიბრების მიმდინარეობას. შემოწმების მონაცემებს განიხილავს კოლმეურნეობის გამგეობა, აგრეთვე კოლმეურნეობის საერთო და საბრიგადო კრებები. აღებულ ვალდებულებათა შესრულების შედეგებს კოლმეურნეებს ფართოდ აცნობენ აგიტატორები.

კოლმეურნეობის გამგეობა და პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად სწავლობენ კადრებს და გაბედულად აწინაურებენ მათ. მაგალითად, ახალგაზრდა კომუნისტი ნ. ტერმაკოზაშვილი მერგოლურად მუშაობდა. იგი მთელი მონდომებით ეკიდებოდა ამ მოვალეობის შესრულებას, იმაღლებდა კვალიფიკაციას, იყო აგროტექნიკური კურსების აქტიური მსმენელი. პარტიული ორგანიზაციის რჩევით კოლმეურნეობის გამგეობამ ტერმაკოზაშვილი ბრიგადირად დანიშნა.

კომუნისტი რ. ფალელაშვილი წარმატებით მუშაობს მეძროხეობის ფერმის გამგედ, ხოლო კომუნისტები თ. ტერმაკოზაშვილი და ვ. ქველიძე მერგოლურები არიან. ასეთი მაგალითები შეიძლება ბევრი მოვიყვანოთ.

ჩვენი კოლმეურნეობა „განთიადი" ერთ-ერთი მოწინავეა გორის რაიონში. იგი ყოველწლიურად იზრდება და ეკონომიურად მტკიცდება. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მეურნეობის ყველა დარგი ერთნაირად როდი მიდის წინ. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ბევრი რეზერვი და შესაძლებლობა ჯერ კიდევ გამოუყენებელია. საკმარისი ყურადღება არ ექცევა შრომის მოწინავე მეთოდებისა და გამოცდილების პროპაგანდას და პრაქტიკაში დანერგვას.

კოლმეურნეობის წინაშე დაყენებული ახალი ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის საჭიროა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია დავაყენო ზოგიერთი საკითხი.

ამას წინათ ჟურნალ „აგიტატორში" წავიკითხე წერილი რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ალტაის მხარის პავლოვსკის რაიონის რაგოზიხის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის გამოცდილების შესახებ. ამ სოფლის კოლმეურნეობისა და ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაციები ერთ საერთო საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციად გაუერთიანებიათ, რასაც დიდი დადებითი შედეგი მოჰყოლია. ვფიქრობთ, ასეთი ღონისძიება, სადაც ეს კონკრეტული პირობების მიხედვით შესაძლებელია, გორის რაიონშიც უნდა განხორციელდეს.

ჩვენთანაც და რაიონის სხვა კოლმეურნეობების ბევრ საწარმოო ბრიგადაში შვიდი და მეტი კომუნისტია. მიზანშეწონილად მიმაჩნია ასეთ ბრიგადაში საამქროს ტიპის პარტიული ორგანიზაციების შექმნა, ხოლო ბრიგადის შიგნით — რგოლებში — პარტიული ჯგუფების ჩამოყალიბება.

ამჟამად საკოლმეურნეო წარმოების სწორად გაძღოლისათვის არ კმარა მარტო კოლმეურნეობის თავმჯდომარემ იცოდეს მანქანები. მათ მუშაობაში კარგად უნდა ერკვეოდეს პარტბიუროს მდივანიც. ამ მიზნით საჭირო იქნება მოეწყოს პარტბიუროს მდივნების სწავლება მექანიზაციის კურსებზე.

სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადის" პარტბიურო მომავალშიც განაგრძობს მუშაობას კომუნისტების აქტივობისა და პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად, მიაღწევს საკოლმეურნეო წარმოების შემდგომ მძლავრ აღმავლობას.

**ნ. ბაშინჯაღელი,**
გორის რაიონის სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადის" პარტბიუროს მდივანი.

## მეტი ბოსტნეული და ხილი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მშრომელებს



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში (დირექტორი პ. სოხაძე) ახლა რთველია გაჩაღებული. იკრიფება ყურძნის საადრეო ჯიში „შასლა".

ქარვისფერი მტევნებით დახუნძლულ ვაზებს შესევიან მკრეფავები და ერთმანეთს შეჯიბრებულნი კალათს კალათზე ავსებენ.

— თბილისის მშრომელთა სუფრა დავამშვენოთ ჩვენი დიღმური გემრიელი ყურძნით!

ამ ლოზუნგით იბრძვიან ამ მეურნეობის მუშები — ჭაბუკები და ქალიშვილები. ყურძნის კრეფა პირველად დაიწყეს აგრონომ ვაჟა კოპალეიშვილის უბნის ნაკვეთებში. აქ 9 ჰექტარზე აქვთ გაშენებული „შასლას" ჯიშის ვაზი, უბანს კი სულ 58,2 ჰექტარი ვენახი აქვს სხვადასხვა ჯიშის ვაზებით გავსებული. „შასლას" გარდა აქ შეხვდებით რქაწითელს, განჯურს, ჩინურს, ბუდეშურს, გორულს და სხვა ჯიშის ვაზებს.

წელს ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ კომკავშირულ რგოლში, რომელსაც ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ზურაბ ჭელიძე ხელმძღვანელობს. ჰექტარზე საშუალოდ 120 ცენტნერ ყურძენს კრეფენ, გეგმა კი 60 ცენტნერს ითვალისწინებს.

მოწინავე მკრეფავები დები ცირა და თამარ სულთანიშვილები, ელო გეჯაძე, ელენე ტაბატაძე და ელენე ებანოიძე ყოველდღიურ დავალებას 120-150 პროცენტით ასრულებენ. შრომაში მათ არც ყუთებში ყურძნის ჩამწყობნი — მარიამ გიგინეიშვილი, ელ. წიკლაური და თამარ როსტომაშვილი ჩამორჩებიან. შრომითი მამაცობის ნიმუშებს სხვებიც უჩვენებენ.

დღემდის ამ უბანს მოკრეფილი აქვს 50 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ყურძენი, რომელიც გაგზავნილია სარეალიზაციოდ.

თბილისში ყოველდღიურად მოდის ათობით ტონა დიღმური ყურძენი.

**სურათებზე:** (მარცხნიდან) ყურძნის მოწინავე მკრეფავები დები ცირა და თამარ სულთანიშვილები ყურძნის კრეფის დროს; ყურძნის ჩაწყობა ყუთებში მაღაზიებში გასაგზავნად.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

## საქართველოს ახალგაზრდობა თავდადებით შრომობს ყამირ მიწაზე

### სახელოვანი წლისთავისათვის

ძნელია იმ სიხარულისა და ალტაცების გადმოცემა, რაც ქართველმა ახალგაზრდებმა განვიცადეთ ყაზახეთის მიწაზე ჩასვლის დღიდანვე. მასპინძლებს ყველაფერი გაეკეთებინათ ჩვენთვის შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შესაქმნელად.

ჩასვლისთანავე დავაკომპლექტეთ მოსავლის აღებაზე მომუშავეთა, მთიბავთა და მშენებელთა ბრიგადები. გაიშალა კომკავშირის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. დაწესდა გარდამავალი დროშა, და ვიმპელები შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის.

კომკავშირის მე-40 წლისთავის სახელობის მშენებელთა კომკავშირულმა ბრიგადამ, რომელსაც ბ. გიორგაძე ხელმძღვანელობს, ვალდებულება იკისრა ნეჩაევკელი მოსწავლეებისათვის აეგო 7-წლიანი სკოლის შენობა. ეს პირობა უკვე განაღდებულია.

მშენებელთა კომკავშირულმა ბრიგადამ „ზესტაფონელმა", რომელსაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტი პ. ტყემალაძე ხელმძღვანელობს, ააშენა და საექსპლოატაციოდ გადასცა კეთილმოწყობილი აბანო.

კომკავშირული ბრიგადები „დამკვრელი" და „კომკავშირელი" (ხელმძღვანელები ე. თაბუკაშვილი და გ. ხათრიძე) თივის აღება-დაზვინვაზე მუშაობენ. ათ დღეში 8.400 ჰექტარზე აიღეს თივა. ყოველდღიურ დავალებებს 350-400 პროცენტით ასრულებენ. დაუღალავი შრომით გამოირჩევიან კ. გაფრინდაშვილი, ვ. სარალიძე, გ. ჯოხაძე, ა. გეწაძე, გ. ჭუმბაძე, გ. შერგილაშვილი, ნ. ფერაძე და სხვები.

მოსავლის აღებაზე მაღალნაყოფიერად მუშაობენ ვ. სადოვსკი, გ. კაპანაძე, ვ. ძიუბკო, კ. მაღლაკელიძე, ვ. და გ. სარალიძეები.

**ნ. კვინიკაძე,**
საქართველოს ალკკ ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი.

### მაიაკოვსკელთა წვლილი

ყამირზე საქართველოდან წარმოგზავნილთა შორის ბევრი მაიაკოვსკელი ახალგაზრდაა. ისინი მუშაობენ კუსტანაის ოლქის ცხენსაშენ საბჭოთა მეურნეობაში, რომელსაც დიდძალი სახნავ-სათესი მიწები და საძოვრები აქვს. მაიაკოვსკელი ახალგაზრდები ენერგიულად ეხმარებიან მეურნეობის კოლექტივს ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოში. თივის აღებისა და დაზვინვის ყოველდღიურ დავალებებს 200-250 პროცენტით ასრულებენ ა. გაბუნია, რ. გარჩაკუდაშვილი და ა. ნაკაშიძე.

სილოსის დამზადებაზე კარგი მაჩვენებლები აქვთ ზ. დოგრაშვილს, ა. გრძელიძეს, გ. ყურაშვილს და სხვებს.

საკვებმომპოვებლებს არც სამშენებლო ბრიგადის წევრები ჩამორჩებიან. ნ. ხიზანეიშვილი, რ. გაბუნია, დ. გაბუნია, კ. ჯანგავაძე და რ. ნერგაძე კარგად მუშაობენ პირუტყვის სადგომის მშენებლობაზე, რომელიც 600 სულს დაიტევს.

**გ. მაღრაძე,**
მაიაკოვსკის რაიონის კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელი.

### დედაქალაქის იუბილეს აღსანიშნავად

ყაზახეთის სსრ კუსტანაის ოლქის ფედოროვსკის რაიონში რვა საბჭოთა მეურნეობაა. ერთ-ერთ მათგანში, ფედოროვსკის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტები შარშან მუშაობდნენ, წელსაც დიდი აღფრთოვანებით შევუდექით საქმიანობას.

ჩვენმა კოლექტივმა გადაწყვიტა თავდადებით იმუშაოს და მშობლიური თბილისის 1500 წლისთავის დღესასწაული ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნოს. ადგილობრივ მოსახლეობას გავაცნობთ თბილისის ისტორიას. ამ მიზნით გავმართავთ მხატვრული თვითმოქმედების საღამოს, რომელზეც წაკითხული იქნება მოხსენებები: „თბილისის ისტორია", „რევოლუციამდელი თბილისი", „სოციალისტური თბილისის აყვავება". მოვაწყობთ აგრეთვე გუნდურ ქორეოგრაფიულ გამოსვლებს.

**რ. მაილიანი,**
თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი.

## მოდის გარდაბნული პროდუქტები

### წამყვანი დარგი კოლმეურნეობაში

ბუნებას თავისი მადლიანი კალთა თითქოს ამ მიდამოებზე დაუბერტყიაო. რა არ ხარობს გარდაბნის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ნოყიერ მიწებზე. ვაზი და ხეხილი, ხორბალი და სიმინდი. ფართოდ განვითარებულია მეცხოველეობა, მაგრამ მებოსტნეობას მაინც წამყვანი ადგილი უჭირავს.

შარაგზის ორივე მხარეს გადაშლილა ბოსტან-ბაღჩები. მებოსტნეობის განვითარებას ხელი შეუწყო ხელსაყრელმა ჰავამ და ნიადაგმა, რაც მთავარია, კოლმეურნეობის სიახლოვემ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისთან, აგრეთვე მეტალურგთა ქალაქ რუსთავთან.

კოლმეურნეობის გამგეობისა (თავმჯდომარე ა. მამედოვი) და პარტბიუროს (მდივანი მ. რასულზადე) მზრუნველობით ბოსტნეულის წარმოება აქ წლითიწლობით იზრდება. თუ 1953 წელს ეს კულტურები 80 ჰექტარზე მოჰყავდათ, წელს ბოსტნეულს უკვე 120 ჰექტარი უჭირავს. მოჰყავთ თითქმის ყველა სახის ბოსტნეული: კიტრი, პამიდორი, ხახვი, ნიორი, წიწმატი და სხვ.

ბოსტნეულის ფართობის ზრდასთან ერთად იზრდება მისი საშუალო მოსავალი ჰექტარზე. იმავე 1953 წელს ჰექტარზე მიიღეს 46 ცენტნერი ბოსტნეული, შარშან ბევრად უფრო მეტი — 94 ცენტნერი. წელს სულ მცირე 150 ცენტნერს მიიღებენ.

მოწინავე ბრიგადებმა, რგოლებმა, ცალკეულმა კოლმეურნეებმა უფრო მაღალი მოსავალი მოიყვანეს. მებოსტნეობის მესამე ბრიგადას (ხელმძღვანელი იუსუბ ქიაზიმოვი) 40 ჰექტარი ბოსტანი აქვს. შარშან ჰექტარზე აქ 120 ცენტნერი ბოსტნეული მოიყვანეს. მოსავალი საშუალოდ ორჯერ გაზარდეს გულისარ ისმაილოვის, შურა ბაგიროვის, ომარ მინოშის, ნინა ბაბაევის რგოლებმა.

როცა მაღალია მოსავალი, მეტია ამ დარგის ფულადი შემოსავალი. 1953 წელს იგი 400 ათას მანეთზე ცოტა მეტი იყო. შარშან მილიონ მანეთს მიაღწია. წელს მილიონ 300 ათას მანეთსაც არ დასჯერდებიან. ეს თანხა არტელის მთელი შემოსავლის თითქმის ნახევარია.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მკვეთრად შემცირდა მატერიალური და შრომითი დანახარჯები პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე. ახლა კოლმეურნეობას ბოსტნეული 1953 წელთან შედარებით ორჯერ იაფი უჯდება.

### როგორ გაზარდეს მოსავალი

ამ საკითხზე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. აბზარ მამედოვს მოვუსმინოთ. მან ზედმიწევნით ღრმად იცის ბოსტნეულის მოყვანის აგროწესები და ყველაფერს საინტერესოდ და დამაჯერებლად მოგვითხრობს.

— მოვრჩებით თუ არა საბოლოოდ ბოსტნეულის მოსავლის აღებას, ფართობებს გავწმენდთ ყოველგვარი ნარჩენებისაგან. გაგვაქვს ისინი ნაკვეთიდან და ვწვავთ. თვითეულ ჰექტარზე შეგვაქვს 300-400 კილოგრამი ფოსფოროვანი სასუქი, ნიადაგს ვხნავთ 27-30 სანტიმეტრ სიღრმეზე. ასე ღრმად მოხვნა იმიტომ არის საჭირო, რომ ჩვენი ნიადაგები მშრალია, სხვანაირად ტენს დიდხანს არ შეინარჩუნებს. ხშირი მორწყვა კი დიდ შრომას მოითხოვს და წყალიც ბევრია საჭირო.

ხვნის შემდეგ ნიადაგს ვფარცხავთ გარდიგარდმო. ამით უმჯობესდება ნიადაგის სტრუქტურა და მორწყვის დროს ცალკეულ ნაკვეთებში წყალი არ გუბდება. თებერვალსა და მარტში ნიადაგს ვამდიდრებთ ნაკელით. ამის წინ კი შეგვაქვს მინერალური სასუქები — ფოსფორისა და კალიუმის ნარევი. გაპოხიერების შემდეგ ნიადაგს ავოშავთ მსუბუქად, ან ზერელედ გადავხნავთ ხოლმე.

კომბოსტოს, პამიდორის, ბადრიჯნის ჩითილი გამოგვყავს სათბურებში. აქ მას ვთესავთ იანვარში ან თებერვლის დასაწყისში და გადავრგავთ აპრილის შუა რიცხვებში. აპრილის დასაწყისში ვთესავთ კიტრსა და ბაღჩეულს. პამიდორს ახლა ვრგავენ არა ნახევარი მეტრის დაშორ[ებით], როგორც წინათ, არამედ 30 სანტი[მე]ტრის დაშორებით. ამრიგად, თვითეუ[ლ] ჰექტარზე ვათავსებთ 48 ათას ძირ მცე[ნა]რეს, გაცილებით მეტს, ვიდრე წინ[ათ] ვრგავდით.

ბოსტნეულ-ბაღჩეულს სეზონში 3-4-ჯ[ერ] ვთოხნით. ამრიგად ნიადაგი მუდამ ფხ[ვი]ერია და სარეველებიც ველარ იკიდებ[ენ] ფესვს. რწყვას კი 7-8-ჯერ ვაწარმოებ[თ]. ზაფხული თუ გვალვიანია — 10-ჯერ. ამრიგად მცენარე კარგად ვითარდება, [უხ]ვად დაისხამს ჯანმრთელ ნაყოფს და [ბევ]რე შემოდის, შაქრიანობა მაღალი აქ[ვს], არომატულია.

შრომის ნაყოფიერების ზრდა მიღწ[ეუ]ლია იმითაც, რომ მებოსტნეობაში ფა[რ]თოდ ინერგება მექანიზაცია. ბოსტნეულ[ის] ფართობების ხვნა, კულტივაცია ახ[ლა] კოლმეურნეობის ტექნიკით სრულდება.

### თბილისისა და რუსთავის მშრომელებისათვის

პარტია და მთავრობა შეუნელებლ[ად] ზრუნავენ კოლმეურნეობათა ეკონომიუ[რ] ძლიერებისა და კოლმეურნეთა კეთი[ლ]დღეობისათვის. მათი ზრუნვის მკაფ[იო] გამოხატულებაა დამზადების ახალი წე[სი].

— ეს წესი, — ამბობს კოლმეურნ[ეო]ბის თავმჯდომარე, — და ამასვე იმ[ეო]რებენ მოწინავე ბრიგადირები ქ. იუსუ[ფო]ვი, ა. ალიევი, შ. იუსუფოვი, — განსაკუ[თ]რებით იმით არის აღსანიშნავი, რომ [ახ]ლა საქმე გვაქვს მხოლოდ ერთ დამამ[ზა]დებელ ორგანიზაციასთან. დამზადებ[ის] ფასები კი მნიშვნელოვნად გაზრდილ[ია] და სეზონის მიხედვით სხვადასხვაა. [ეს] გაზარდა კოლმეურნეთა დაინტერესე[ბა]. წელს სახელმწიფოს მივყიდით 750 ტ[ონა] ბოსტნეულს, 200 ტონა ბაღჩეულს. ამ ვა[ლ]დებულებას მალე შევასრულებთ. გადა[ვწ]ყვიტეთ ბოსტნეული მთელი წლის მან[ძი]ლზე ვაწარმოოთ. ამისათვის წელს შ[ე]მენით მსხვილი სასათბურე მეურნეო[ბა]. მარტო ამ ზამთარში 50 ტონამდე კიტ[რს] და პამიდორს მივცემთ თბილისისა [და] რუსთავის მშრომელებს. ეს კი ასე[ულ] ათასობით მანეთია.

კოლმეურნეობა ამავე დროს მეთეს[ლე]ობის დანიშნულებისაა. თესლის დამზა[დე]ბის ამოცანასაც წარმატებით წყვეტ[ს].

### ჯილდოთი აღფრთოვანებულნი

მებოსტნეობაში მიღწეული წარმა[ტე]ბებისათვის კოლმეურნეობა რამდენჯე[რმე] იყო და წელსაც არის სრულიად საკავ[ში]რო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის [მო]ნაწილე. მიღებული აქვს გამოფენის მ[ედ]ვარი კომიტეტის მედალი და სიგელი.

ამას წინათ გარდაბნიდან მოსკოვ[ში] საკავშირო დათვალიერებაზე გაიგზავნა [ხი]ლისა და ბოსტნეულის ექსპონატები. [კი]როვის სახელობის კოლმეურნეობის ე[ქს]პონატებმა გამოჩენილი სპეციალისტე[ბის] მაღალი შეფასება დაიმსახურეს და პირ[ვე]ლი ხარისხის დიპლომი მოიპოვეს. მნახ[ვე]ლი აღტაცებაში მოიყვანა „ქაბასა" [და] „მარნეულის" ჯიშის ხახვმა. თვითეუ[ლი] მათგანი 500-600 გრამს იწონიდა. ა[სევე] საინტერესო იყო „ბორდოს" ჯიშის ჭარ[ხა]ლი (წონა 6-8 კილოგრამი), სტაფი[ლო] — „გერანდა" და „ნანტი", საზამთრო „მელიტოპოლი" და ადგილობრივი კა[ნტა]რი (წონა 16-20 კილოგრამი) და სხვ.

აქაურ მებოსტნეებს ხელთ უპყრიათ [აგ]რეთვე პარტიის გარდაბნის რაიკომისა [და] რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი [წი]თელი დროშა, რომელსაც ახლაც ვერა[ვინ] ეცილება.

წარმატებანი და ჯილდოები აღაფრ[თო]ვანებენ კოლმეურნეებს, ისინი დღი[თი]დღე ნაყოფიერად შრომობენ, რაც [იმის] საწინდარია, რომ შემდგომში კიდევ [უფ]რო გაიზრდება ბოსტნეულისა და ბაღჩ[ეუ]ლის წარმოება. მომავალი წლიდან ამ [კუ]ლტურებს დამატებით 30 ჰექტარი და[ეთ]მობა. გაფართოვდება სასათბურო მე[ურ]ნეობაც.

ჩვენი ჭაღარა დედაქალაქის მშრო[მე]ლებს წლის მანძილზე ექნებათ გარდაბ[ნუ]ლი ბოსტნეული, ხილი, ბაღჩეული.

**დ. ბიწაძე,**
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

# გერმანელი ტურისტები თბილისის შესახებ

ჩვენი გაზეთის მუშაკების ჯგუფი იმყოფებოდა შემოქმედებით მივლინებაში უკრაინაში, ქალაქ მოსკოვში, სადაც ისინი გაეცნენ საქალაქო, საოლქო, რესპუბლიკური გაზეთების რედაქციების მუშაობას, იყვნენ ქარხნებში, კოლმეურნეობებში, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებში. მათ დაათვალიერეს ქალაქების ოდესის, კიევის, მოსკოვის ისტორიული ღირსშესანიშნაობანი.

ჯგუფმა სოხუმიდან ოდესამდე იმგზავრა თბომავალ „უკრაინით" და შეიარა შავი ზღვის სანაპიროს საკურორტო ქალაქებში.

ჯგუფის წევრებმა მოამზადეს კორესპონდენციები, წერილები, ნარკვევები.

თბომავალ „უკრაინაზე" ქართველი ჟურნალისტები გაეცნენ გერმანელ ტურისტებს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან). ვბეჭდავთ მასალას გერმანელ ტურისტებთან შეხვედრის შესახებ.

* * *

თბომავალმა „უკრაინამ" ნაშუაღამევს დატოვა სოხუმი. ამ დილით ზღვა წყნარი და მშვიდია, თითქოს ძილისათვის ჯერაც თავი არ დაუღწევიაო. შორს მოჩანს ამომავალი მზის სხივებით განათებული ნაპირი. აგერ თოლიამ გაიქროლა მოლივლივე ტალღების ზემოთ და ჰაერში შეინავარდა, ლამის გემბანზე შემოიჭრას.

ასეთ დროს ძნელია კაიუტაში იჯდე. გემბანის მოაჯირთან დასადგომს ველარ იშოვნი. ზღვა იტაცებს თვალს. ეს უსასრულო სილურჯე, ოდნავ რომ ტორტმანობს და ირწევა, როგორღაც ამშვიდებს ადამიანის სულს. გაშლილ ზღვაში გემბანიდან ქვეყანა საოცრად ვრცელი და ერთფეროვანი, მაგრამ მიმზიდველია.

კვლავ ჩაიქროლეს თეთრგულა თოლიებმა, ტალღებთან შეინავარდეს და ისევ კინაღამ შემოიჭრნენ გემბანზე.

ახლა მზე უფრო ანათებს და უფრო თვალწარმტაცია ეს უნაპირო სილურჯე.

— ზერ გუტ! — ამბობს ვიღაც, — ზერ გუტ! — ველარ ფარავს აღტაცებას გემბანის მოაჯირს დაყრდნობილი გერმანელი. იგი ადრეც შევამჩნიეთ. გემბანზე მშვიდად და მოზომილად დააბიჯებს. მაღალია და მთლად გაჭაღარავებული. გამუდმებით ეწევა ჩიბუხს. გამოველაპარაკეთ.

გამოირკვა, რომ გემზე იმყოფებიან ტურისტები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, სულ 17 კაცი. მალე დანარჩენებიც შემოგვიერთდნენ. ჭაღარა, ჩიბუხიანი გერმანელი — პროფესორი ჰანს ვერლი თანამემამულეებს გვაცნობს და ილიმება... გერმანელი ტურისტები ყოფილან მოსკოვში, თბილისში, ამჟამად შავი ზღვის სანაპიროზე მოგზაურობენ...

ტურისტები კაიუტაში მივიწვიეთ. პროფესორ ვერლის აოცებს ტიკჭორა, რომლითაც თბილისიდან ცოტაოდენი ღვინო წამოვიღეთ. მას ვერ დაუჯერებია, რომ ამ უცნაურ ტყავის გუდაში ღვინო ასხია და რომ ეს უცნაური ჭურჭელი დამზადებულია თხის ტყავისაგან. დინჯი გერმანელი ხალისიანი მოსაუბრე აღმოჩნდა. თარჯიმანი ძლივს ასწრებს ნათქვამი გადმოგვითარგმნოს.

საინტერესოა იცოდე უცხოელის აზრი შენს ქვეყანაზე. უცხო თვალი უფრო მახვილია. გერმანელები შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ. პროფესორი ვერლი შარშანაც ყოფილა საბჭოთა კავშირში.

— ერთი წელი მეტად მცირე დროა ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში, — ამბობს იგი, — და მე მაოცებს ცვლილებანი, რომლებიც ამ ერთი წლის მანძილზე მომხდარა საბჭოთა კავშირში. თქვენ წელს ბევრად უკეთ იკვებებით, ვიდრე შარშან, გაცილებით უკეთ იცვამთ. თქვენი ქალაქები კიდევ უფრო დამშვენებულია ახალი ნაგებობებით, პარკებით, ბაღებით. თქვენში წელს ცხოვრების გაცილებით მეტი ყვავილი ჰყვავის.

— მე პროფესიით ექიმი ვარ, — ერევა საუბარში ბერლინის საქალაქო პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ბულგარელი ნიჩკოვი, რომელიც ოცი წელია გერმანიაში ცხოვრობს, — და გულით მიხარია, როცა მხნე, ჯანმრთელ და ჯანღონით სავსე ადამიანებს ვხედავ. ასეთია თქვენს ქვეყანაში არა ადამიანთა ნაწილი, არამედ მთელი ხალხი, რაც საამაყოა.

ჩვენს სტუმრებს თბილისში მიუღიათ ქართული პურმარილი. ყოფილან ფუნიკულორზე, გასცნობიან მცხეთას. საზაფხულო ფილარმონიაში დასწრებიან ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტს.

პროფესორმა ვერლიმ თქვა:

— თბილისში თვალს ახარებს მწვანე ხეივნები და ყვავილები ქუჩებში. მშვენიერია ფუნიკულორის პლატო, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს თქვენი კოპწია, წარმტაცი ქალაქი...

შემდეგ პროფესორმა ჩამქრალი ჩიბუხი გააჩაღა და ჩაფიქრებულმა თქვა:

— თბილისში ყველაფერზე მეტად ადამიანები გიზიდავენ, ლამაზი, გულკეთილი და ხალისიანი ადამიანები. მე მოხუცებული ვარ. სიცოცხლის მანძილზე ბევრი მიმოგზაურნია, და იშვიათად შემხვედრია ასე მოხდენილი, მშვენიერი ქალ-ვაჟები, თბილისში ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ შეგხვდება.

— ჩვენ შევნიშნეთ, რომ თბილისში მრავალი ეროვნების ადამიანები ძმურად ცხოვრობენ, — სიტყვა ჩაურთო ინჟინერმა ჰაბრკორნმა. — მიმზიდველია სხვადასხვა ეროვნების თბილისელთა მეგობრული და ხალისიანი ცხოვრება.

კაიუტაში შემოგვემატა ნიჩკოვის მეუღლე ბერლინის დრამატული თეატრის მსახიობი ნიჩკოვა და მათი ქალიშვილი 18 წლის მონიკა.

ნიჩკოვას ბევრი გაუგია თანამედროვე ქართველ მსახიობებზე. მისი აზრით, ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნება გაბედულად იპყრობს ხელოვნების მწვერვალებს.

— ისეთი მსახიობი, როგორიც თქვენი ანჯაფარიძეა, — თქვა ნიჩკოვამ, — ბევრი არ არის თანამედროვე თეატრალურ სამყაროში.

კაიუტაში ძალიან ჩამოცხა. პროფესორი ვერლი წამოდგა.

— თბილისი მალე 1500 წლისთავს იზეიმებს. რას უსურვებდით თბილისს, თბილისელებს, ქართველ ხალხს? — ვკითხეთ პროფესორს.

— დაე ათასხუთასი წლის შემდეგაც უხარებდეს გულს მოგზაურს უფრო დიდი, ლამაზი და აყვავებული თბილისი. თბილისელებს ვუსურვებ მარად ისეთი კარგები დარჩნენ, როგორიც არიან, — თქვა პროფესორმა.

პროფესორის თავზე ჩიბუხის ბოლი დაიგრაგნა. „უკრაინა" ნელა ირწევა ზღვაზე. ვიწრო სარკმლიდან ზოლად ილვრება მზის სხივი და ადამიანებს სახეებს უნათებს.

**გ. ვარდოსანიძე,**
თბომავალი „უკრაინა".

კომკავშირის მე-40 წლისთავის შესახვედრად

ВЛКСМ 40

## შეხვედრა კომკავშირის ვეტერანებთან

ჩხოროწყუს რაიონის ახალგაზრდობა დიდი მონდომებით ემზადება იმისათვის, რომ ღირსეულად აღნიშნოს საკავშირო ალკკ მე-40 წლისთავი.

ამას წინათ პარტიისა და კომკავშირის რაიონულმა კომიტეტებმა მოაწყეს კომკავშირის ვეტერანების შეხვედრა ახალ თაობასთან. მოხსენება კომკავშირის სახელოვანი გზის შესახებ გააკეთა საქართველოს კპ ჩხოროწყუს რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ცანავამ. შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ კომკავშირის ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები: ვ. თოდუა, ჟ. ზედანია, ზ. კვარაცხელია, მეცნიერი მუშაკები გ. ქარჩავა, ი. ნაჭყებია და სხვები, რომლებმაც დამსწრეთ მოუთხრეს, თუ როგორ იბრძოდა და იბრძვის რაიონის ახალგაზრდობა მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ მის წინაშე დასახული ამოცანების განსახორციელებლად.

შეხვედრის დასასრულ მოსწავლეთა ძალებით გაიმართა კონცერტი.

**უ. გოგუა,**
გაზეთ „სტალინის დროშით" რედაქტორი.

## აღმოჩენილია გაზეთ „ახალგაზრდა მაღაროელის" ნომრები

**ჭიათურა.** (საკ. კორ.). სახელოვანი ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავისათვის მზადების დღეებში აქ აღმოჩნდა ნაბეჭდი გაზეთის „ახალგაზრდა მაღაროელის" რამდენიმე ნომერი. იგი იყო კომკავშირის შორაპნის, სამაზრო და ჭიათურის რაიონული კომიტეტების ორგანო, რომელიც გამოდიოდა 1924 წლის დასაწყისიდან. „ახალგაზრდა მაღაროელი" რაზმავდა მარგანეცის ქალაქის ახალგაზრდებს ბრძოლისა და შრომისათვის, ზრდიდა მათ კომუნისტური სულისკვეთებით. გაზეთის მეცხრე ნომერი მიძღვნილია კომკავშირის ჭიათურისა და ხარაგაულის რაიკომების მაშინდელი მდივნების ამხ. შალიკო სოფრომაძისა და ვარდენ კუტალაძის ხსოვნისადმი, რომლებიც გმირულად დაიღუპნენ მენშევიკ-ავანტიურისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში.




## სემინარი მოსახლეობის საკავშირო აღწერასთან დაკავშირებით

ამ დღეებში საქართველოს ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ მოაწყო რაიონული ინსპექტორების ერთკვირიანი სემინარი მოსახლეობის 1959 წლის სრულიად საკავშირო აღწერის საკითხებთან დაკავშირებით.

სემინარზე რაიინსპექტორების ყურადღება გამახვილებულ იქნა აღწერის ორგანიზაციის, საალწერო ფურცლის შევსების და ამასთან დაკავშირებით მთელი სააღრიცხვო ფორმებისა და მასალების განხილვის საკითხებზე. ამასთან განსაკუთრებით გაესვა ხაზი ადგილებზე სააღრიცხვო კადრების დაკომპლექტების, მათი ინსტრუქტაჟისა და ცოდნის შემოწმების საკითხს.

## ზუგდიდის თეატრის გასტროლები

30 აგვისტოს, გასტროლების მეორე დღეს, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში ზუგდიდის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა ლ. მილორავას ოთხმოქმედებიანი კომედია „კერპ-კოუტა".

პიესის დადგმა ეკუთვნის ალ. მაღლაკელიძეს, მხატვრობა — დ. ჭიჭინაძეს.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. როგავა; მსახიობები ო. კობიძე, მ. ბახტაძე, ბ. ცომაია, შ. მოსია, მ. ვალიშვილი, ვ. გაბისონია, ქ. ესებუა.

კვირას, 31 აგვისტოს, წარმოდგენილი იქნა ცნობილი რუმინელი დრამატურგის სებასტიანის კომედია „უსახელო ვარსკვლავი" (თარგმანი ლ. ცაგარეიშვილისა და ა. შალუტაშვილისა).

პიესის დადგმა ეკუთვნის ალ. მაღლაკელიძეს, მხატვრობა — მ. ნასიძეს.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. როგავა; მსახიობები მ. ვალიშვილი, ე. ბიბილაშვილი, შ. მოსია, პ. შაფათავა, ლ. გოგიჩაიშვილი, დ. ყუფარაძე, ა. ბარამია, ბ. ცომაია, ლ. ხოლუაშვილი, ო. რუხაძე.

გუშინ ზუგდიდელებმა გასტროლების მეოთხე დღეს თბილისელ მაყურებელს უჩვენეს ინდური ლიტერატურის კლასიკოსის შუდრაკას „თეთრი ლოტოსი" (ინდური სანახაობა).

პიესის დადგმა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს ვ. მჭედლიძეს, მხატვრობა — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ნ. ყაზბეგს, კომპოზიტორია ს. ნასიძე.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ: დ. გოგიჩაიშვილი, რ. თოდუა, შ. მოსია, დ. ყუფარაძე, ლ. ყუფარაძე, მ. ვალიშვილი, ლ. კეიდია, ვ. გაბისონია, ა. ბარამია, რ. ყურაშვილი, ბ. ცომაია, ვ. გაბისონია, ა. კოსტავა, ე. ალლაძე, პ. შაფათავა, ი. ქირია, ჯ. ლატარია, მ. ბახტაძე, ფ. ბელქანია.

## რაიკულტურის სახლში

**ქედა.** (საკ. კორ.). ქედის რაიონული კულტურის სახლი (დირექტორი ლილი თურნავა), ნაყოფიერად ემსახურება სოფლის მშრომელებს. კარგად მუშაობს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელშიც გაერთიანებულია 42 მუშა-მოსამსახურე და კოლმეურნე. ანსამბლს, რომელსაც ი. რუსია ხელმძღვანელობს, შესწავლილი აქვს რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა და ცეკვა. იგი მალე გამართავს საღამო-კონცერტებს რაიონის ცენტრში და მეზობელ ხულოსა და შუახევის რაიონებში.

მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ამ სახლთან არსებული აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელშიც 12 კაცი მონაწილეობს. ბრიგადას რეპერტუარში აქვს მცირე ფორმის პიესები, სკეტჩები, ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები, მხატვრული კითხვა. ბრიგადის გამოსვლას ხშირად წინ უსწრებს ლექციამოხსენებები სოფლის მეურნეობის, საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე. მაგალითად, ამ დღეებში ბრიგადამ კონცერტები გამართა მთის სოფლებში კვაშტაში, გობრონეთში, მერისში, მეძიბნაში, ცხმორისში, ზესოფელში და სხვ. ზოგჯერ კონცერტს მართავენ უშუალოდ მინდვრად და პლანტაციებში.

## სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩოს ნოტა
### ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისადმი

28 აგვისტოს სსრ კავშირის საელჩომ ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირი არ გაგზავნის თავის მეთვალყურეებს ლაბორატორიულ პირობებში ატომური იარაღის დემონსტრაციაზე, რაც დასახული აქვს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას. ნოტაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მეცნიერთა, პრესის წარმომადგენელთა მიწვევა, რათა მონაწილეობა მიიღონ ისეთი ატომგულის იარაღის დემონსტრაციაში ლაბორატორიულ პირობებში, რომელსაც რადიაქტიური ნალექების „შეზღუდული" გამოყოფა აქვს, მიზნად ისახავს იპოვონ საბაბი იმისათვის, რომ გაამართლონ ატომური და წყალბადის იარაღის შემდგომი გამოცდა შეერთებული შტატების მიერ, რისთვისაც გამოიყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტი, მისი ატომის რადიაციის გავლენის შემსწავლელი სამეცნიერო კომიტეტი.

ძნელია შთაბეჭდილების შექმნა, ნათქვამია ნოტაში, თითქოს ამერიკის ატომური იარაღის გამოცდა, რაც გრძელდება, არ უქმნის საფრთხეს ადამიანთა ჯანმრთელობას, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატომის რადიაციის გავლენის შემსწავლელი სამეცნიერო კომიტეტი ამას წინათ გამოქვეყნებულ თავის მოხსენებაში აღნიშნავს ასეთ საფრთხეს.

საბჭოთა კავშირს, ხაზგასმით აღნიშნულია ნოტაში, რომელიც მოითხოვს შეთანხმების მიღწევას ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ყველგან და დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ, შეუძლებლად მიაჩნია გაგზავნოს თავისი მეთვალყურენი, რათა მონაწილეობა მიიღონ ატომური იარაღის დემონსტრაციაში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დასახა.

## სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

22 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ მოსკოვში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოგზავნა ნოტა, რომელსაც დართული ჰქონდა პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერის 22 აგვისტოს განცხადება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე მოლაპარაკების შესახებ. დიდი ბრიტანეთის მთავრობის ნოტა და ანალოგიური შინაარსის განცხადება მიღებულ იქნა აგრეთვე დიდი ბრიტანეთის საელჩოსაგან მოსკოვში.

30 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოებს გაუგზავნა საპასუხო ნოტები ამ საკითხზე. ნოტებს დართული აქვს ტექსტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხისა „პრავდის" კორესპონდენტის კითხვებზე, რომელიც 30 აგვისტოს გამოქვეყნდა პრესაში.

საბჭოთა კავშირის მთავრობა, აღნიშნულია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსადმი, მზად არის დაიწყოს 1958 წლის 31 ოქტომბერს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მოლაპარაკება იმ მიზნით, რომ დაიდოს შეთანხმება სახელმწიფოების მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის სამუდამოდ შეწყვეტის შესახებ და დაწესდეს შესაბამისი კონტროლი ასეთი შეთანხმების შესრულებისადმი.

როგორც ნოტაში აღნიშნულია, საბჭოთა მთავრობის აზრით, ყველაზე მოხერხებული ადგილი ასეთი მოლაპარაკებისათვის იქნებოდა ჟენევა. მოლაპარაკების გაჭიანურების თავიდან აცილებისათვის საბჭოთა მთავრობის წინადადებაა წინასწარ მოხდეს შეთანხმება, რომ მოლაპარაკების ხანგრძლივობა განისაზღვროს გარკვეული ვადით. თავის მხრივ საბჭოთა მთავრობას შეაქვს წინადადება დაწესდეს ამ ვადად ორი-სამი კვირა. (საკდესი).

## ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების მეორე საერთაშორისო კონფერენციაში სსრ კავშირის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ მონაწილეობის გამო

1-13 სექტემბერს ჟენევაში გაიმართება ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების მეორე საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც იწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ამ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობისათვის მოსკოვიდან ჟენევაში მიემგზავრებიან სსრ კავშირის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგაციები.

სსრ კავშირის დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ატომის ენერგიის გამოყენების მთავარი სამმართველოს უფროსი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ს. ემელიანოვი, უკრაინის სსრ დელეგაციას — უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ა. ნ. შჩერბანი, ბელორუსიის სსრ დელეგაციას — ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ფ. კუპრევიჩი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

# დავიცვათ ხალხური საუნჯე

გ. სვანიძის კრებული „ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი" (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", რედაქტორი ე. ვირსალაძე) ეხება ქართული მუსიკალური კულტურის მნიშვნელოვან საკითხს. ბუნებრივია, წიგნმა მიიქცია მკითხველის ყურადღება.

სად და ვისგან არის მასალა შეკრებილი? ამ თვალსაზრისით გადავშალეთ კრებულის რედაქტორის შენიშვნები და ზოგიერთი ძეგლის სადაურობის შესახებ შემდეგი ამოვიკითხეთ: სიმღერა „საწნახლური" III ვარიანტი ჩაწერილია სოფელ მუხრანში, მთქმელი „კანკალას ბიჭი". „ქვევრის რეცხვა" II ვარიანტი „ჩაწერილია მუხრანში, მთქმელი პავლია, 73 წლისა", ამავე სიმღერის III ვარიანტი „ჩაწერილია სოფელ მეჯვრისხევში, მთქმელი — სოსანა „ასკილაანთ ბიჭი", „სამაია" „ჩაწერილია 1917 წელს სოფელ საქაშეთში, მთქმელი ჩიასამიძის მოურავი, რომელსაც ეს სიმღერა ხშირად გაუგონია დიასამიძიანთ ოჯახში თეკლე კალატოზიშვილის შესრულებით. „ზუსტად" იგივე ტექსტი გ. სვანიძეს ჩაუწერია 1920 წელს სოფელ სკრაში შალიკაშვილის ცოლისაგან". „ჩაკრულო" — ჩაწერილია 1918 წელს, მცხეთობას, მთქმელი სოფელ საგურამოს მცხოვრები სესია, მეტსახელად „ნაკვერჩხალის ბიჭი", პოპულარული სიმღერა „ცოლი გამიდიდგულდა" — ჩაწერილია 1919 წელს, სოფელ ტეძერში, მთქმელი ციციშვილი არონა, ვაჭარი-მეწვრილმანე და სხვა მრავალი. საკითხავია: ვინ არიან „კანკალას ბიჭი", „მთქმელი პავლია", „ასკილაანთ ბიჭი", „ნაკვერჩხალას ბიჭი" და სხვ?.. ტექსტების დოკუმენტაციიდან, რომელიც არაზუსტი და მცირე მასალის გამო, ეტყობა, მძიმე ტვირთად დააწვა რედაქტორს, ცხადი ხდება, რომ მასალა ფიქსირებულია ზეპირად, სრულიად შეურჩევლად და დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებს ელემენტარულ მოთხოვნილებას.

წიგნს დიდი პრეტენზია აქვს — ჰქვია ქართული ხალხური სიმღერები... სინამდვილეში კი, წარმოდგენილი მასალა გორის მიდამოებისა და რამდენიმე კახური ნიმუშით განისაზღვრება. დასავლეთ საქართველოს, მესხეთ-ჯავახეთის, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მასალები სრულიად უგულებელყოფილია და, რაც მთავარია, სიმღერების გენეზისიც წარმოდგენილია არასწორად, მასალის ზეპირსიტყვიერი და მუსიკალური ანალიზის ნაცვლად ჩამოთვლილია ვიღაც მედუქნეების, ასკილაანთ ბიჭის, კისერას, კაკალაანთ ბიჭის... მოწმეების გვარები და ამ საფუძველზე განსაზღვრავს ავტორი სიმღერათა სადაურობის საკითხს. მაგალითად, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი", ავტორის აზრით, უნდა შესწორდეს ასე — „გუშინ შვიდნი გოოიჯვრელნი, მონადირენი ქართლისა"... ამის საფუძველს მკვლევარს გ. სვანიძეს აძლევს ისეთი „დიდი ავტორიტეტის" ცნობა, როგორიც ვინმე მესტიაშვილია, რომელიც ამბობს: „ეს სიმღერა... ჩვენია, ქართლური, ნასწავლებმა მიჩმახმოჩმახეს. აქ ჩაუმატეს, იქ გამოაკლეს, ლექსი ხომ არ იციან და არა".

ცნობილი უძველესი სიმღერა „შავი კაკაბი", ავტორის აზრით, სოფლებთან შავშვებთან და კაკაბეთთან ყოფილა დაკავშირებული, კერძოდ, ამ სოფლებში მცხოვრებ შავშველ დარისპანასა და კაკაბეთელ თედო „კისერად" წოდებულთან. მათ ძაღლი ჰყოლიათ გაწვრთნილი და ნასწავლი. ძაღლით ფულს შოულობდნენ დუქანში. შემდეგ გადმოცემულია სიმღერის აბდაუბდა ისტორია. ივ. ჯავახიშვილი კი „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითად საკითხებში" წერს საეკლესიო მუსიკის საეროსაგან წარმოშობილობის შესახებ და, კერძოდ, ამტკიცებს, რომ ზოგიერთ საგალობელს საერო კილო უდევს საფუძვლად, მათ შორის „ყურშაო", „ღმერთო, ღმერთო მოწყალეო", „შავი კაკაბი"... ცხადია დარისპანასა და თედო „კისერას" ძაღლი და დუქანი სრულ გაუგებრობას წარმოადგენს.

ასეთივე უსაფუძვლო ანალიზით ავტორი და რედაქტორი ასკვნიან: სიმღერა „მოდისო მტერი, კახელნო" წარმოშობით ქართლურიაო.

ყოვლად დაუსაბუთებელია მსჯელობა „მხიარული გაზაფხულისა" და „ჭონას" ურთიერთობის შესახებ. „სამაიას" ეტიმოლოგია ავტორის მიერ ასეა წარმოდგენილი: „სამაია" „სამ მაიას" „ჩვენ სამ დასა, მაიასა". ასეთი ანალიზი, ცხადია, დაუჯერებელია. რედაქტორის აზრით, გ. სვანიძემ თითქოს აღმოაჩინა „საწნახლური" და „ქვევრის რეცხვის" ის უნიკალური ლექსები, რომელთა არსებობის შესახებ ცნობებს ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი გვაწვდიდა. აქ საქმე გვაქვს სრულ გაუგებრობასთან. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი თავის ცნობილ წერილში — „ივერიანელების (და არა „ივერიელთა", როგორც ეს სარეცენზიო კრებულშია) გალობა, სიმღერა და ლიღინი" („ცისკარი", 1861 წ. № 1, გვ. 157) მხოლოდ ასახელებს, ასეთი და ასეთი სიმღერა არსებობდაო, გ. სვანიძე კი თავისი ფანტაზიით ვითომც აღადგენს „დაკარგულ" სიმღერას, ხოლო სინამდვილეში ფალსიფიცირებულ ტექსტს გვთავაზობს. მაგალითად, „საწნახლური" სიმღერის ტექსტში ვკითხულობთ:

> „აბა, ბიჭებო, მარჯვედა,
> ხელი ჩასჭიდეთ სარცხსაო;
> უთაქეთ ყველა კუთხესა, (?)
> თორემ ვიგემებთ (?) მარცხსაო! (?).
> კარგ ტკბილს ჩავასხამთ, მაგრამა
> ამოვრწყავთ ძალზე მდარესა; (?!)...
> მოვუსვათ, ბიჭო, სარცხსაო,
> არ დავამსგავსოთ ფარცხსაო (?!)".

„ქვევრის რეცხვის" „უნიკალურ" ლექსში კი იგივე „საწნახლური" სიმღერის სტრიქონები მეორდება, ოღონდ ოდნავი ვარიაციით. მაგალითად:

> „მოუსვი ბიჭო, სარცხსაო,
> არა ჰგავს ხნულზე ფარცხსაო; (?!)
> კარგ ტკბილს ჩაასხამ, მაგრამა
> ბოლოს მივიღებთ (?) მარცხსაო! (?)"

და ა. შ.

ორივე „ახლად აღმოჩენილი" „უნიკალური" სიმღერის ტექსტი ფალსიფიცირებულია და ერთი და იმავე უხეირო მოლექსის ნახელავია. მათში ხალხურობის ნიშანწყალიც არ არის. ყველა ტექსტი ერთი სოციალური ფენის იდეოლოგიას ასახავს, არ გამოირჩევა მრავალფეროვანებით და, რაც მთავარია, ერთი სტილით არის დაწერილი. ხომ არ შეიძლებოდა, რომ ყველა მთქმელს ერთნაირად წარმოეთქვა ლექსი, რედაქტორი აღნიშნავს, რომ „გ. სვანიძის მიერ ჩაწერილი ტექსტები, მიუხედავად გადაკეთებებისა და ჩანართებისა, მეტად არქაულ ელემენტებს შეიცავენ". ჩვენ კი გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ყველა ტექსტი ვარიანტია გ. სვანიძისა, რომელიც ამ შემთხვევაში არა შემკრებისა და მკვლევარის, არამედ მთქმელის როლში გამოდის. არის შემთხვევები, როდესაც გადაკეთება აშკარად ხელოვნურია, ასეთია, ჩვენი აზრით, „სამაიას" ტექსტი:

> „თან დავმღეროთ ნაზზე ნაზად, (?)
> „სამაიას" ტკბილი ჰანგი,
> რომ ჩვენ ჰანგს ვერ შეედაროს
> ვერც ჩონგურის და ვერც ჩანგის!"
> (გვ. 27)

ამ ლექსს არ ჩამორჩება „მზისა და მთვარის ჩხუბი", ცნობილი წარმართული ლექსის გ. სვანიძისეულ ვარიანტში მზე ილაშქრებს „რეაქციონერი" მთვარის წინააღმდეგ და ესარჩლება გლეხობას:

> „მე ჩემი დრო-ჟამს ვიცი,
> ვიცი, თუ რა გავაკეთო;
> კუზი გამოისწორეეი — (?)
> შეიბრალე გლეხი კაცი!
> თორემ გასაქანს არ მოგცემ(?),
> მოგცემ წამალს მათრობელას (?);
> ჩემი სხივების სიცხოვლით
> გლეხკაცს არ მოვაკლებ შველას!".

ანალოგიური სიუჟეტური ჩანართები გვხვდება ლირიკულ ლექსებში და ამით დარღვეულია და უსაფუძვლოდ არეული როგორც სოციალური უთანასწორობის შესახებ არსებული მდიდარი და შინაარსიანი ქართული ზეპირსიტყვიერი ნიმუშების განწყობა, ასევე ლირიკული და საკულტო ლექსების ბუნება.

ქართული ხალხური სიმღერების კრებულების რაოდენობითა და გამოცემის ხარისხით ვერ დავიტრაბახებთ. ზ. ფალიაშვილისა და დ. არაყიშვილის მიერ გამოცემული კრებულების შემდეგ, მიუხედავად გაცილებით უკეთესი პირობებისა, საგუნდო მრავალხმიანობის ისეთ კლასიკურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, დღემდე არ გამოსულა არც ერთი ოდნავ ხეირიანი კრებული, მაშინ როცა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში მუსიკალური გამოცემის დონე გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზეა.

გ. სვანიძის შრომამ აქაც გაგვიმტყუნა იმედები.

არ ვიცით, რომელი მუსიკათმცოდნე უწევდა დახმარებას გ. სვანიძეს, მაგრამ ნოტებზე გადატანილი მასალა სამარცხვინოდ არის შესრულებული.

სამხმიანი სიმღერები სრულიად გაუმართლებლად ორ ხაზიან სანოტო სისტემაზეა გადატანილი, დარღვეულია ყველგან I და II ხმის თანაფარდობა. ამისი ერთერთი ნიმუშია, მაგალითად, მკის სიმღერა „ვარალალი, ვარხალალი". ამ სიმღერის იმიტაცია I და III ხმებს შორის ქართულ სიმღერებში საერთოდ არ გვხვდება. ვფიქრობთ, ნოტების დაჯგუფებაც დარღვეულია პირველ სამ სტრიქონში. არ იყო საჭირო ისეთი შორისდებულების, როგორიცაა ტაჰ, ხი, ჩოჰ, ადე, წინ ნოტებზე გადატანა, რადგანაც შეძახილი ნოტებზე არ გადადის.

უარესი მდგომარეობა გვაქვს სიზუსტის მხრივ, სადაც სანოტო მასალა სამხაზიან სისტემაზეა წარმოდგენილი. ასეთი სიმღერებია „სუფრული", „შავლეგო", „შემოგხედავ და მზეს გადარევ". აქ სამხმიანი სიმღერები ხუთხმიანად არის გასაღებული. „სუფრულში" მცდარია ზომათა მონაცვლეობა, ტექსტი ნოტებზე ყოველთვის არ არის მიწერილი. უსწორო დიაპაზონია სიმღერაში „გუშინ შვიდნი".

კიდევ შეიძლებოდა გველაპარაკნა ბევრზე, მაგრამ ძირითადით შემოვიფარგლეთ. სიმღერებსა და საკრავებზე შემორჩენილი ლეგენდების შეგროვება დიდი საქმეა და დროულიც, მაგრამ საინტერესო მასალის გვერდით უხარისხო და უგემოვნო გადმოცემათა გამოქვეყნება გაუმართლებელია. ამასთანავე საჭიროა ანგარიშის გაწევა ქართული მუსიკალური კულტურის სფეროში გამოცემული მეცნიერული შრომებისათვის.

მცდარი შემკრებლობითი მეთოდი და ტექსტების ფალსიფიკაცია, რაც წარმოდგენილია გ. სვანიძის წიგნში, ჩვენი ეროვნული ხალხური საუნჯის ღირსებას საზიანოდ ხელყოფს და უპრეცედენტო მოვლენას წარმოადგენს.

**ვაჟა გვახარია,**
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, მუსიკათმცოდნე.

# ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა სოციალიზმის გზაზე

ვიეტნამი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყანაა, რომელსაც 328 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია უჭირავს. აქ 25 მილიონი მცხოვრებია, რომელთაგან 22 მილიონი ვიეტნამელები არიან, დანარჩენნი კი ეროვნულ უმცირესობებს ეკუთვნიან.

ჩვენს ხალხს ძველი კულტურა და უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის სახელოვანი ტრადიცია აქვს.

1884 წელს ფრანგმა იმპერიალისტებმა ხელში ჩაიგდეს ვიეტნამი და თავიანთ კოლონიად გადააქციეს იგი. ჩვენი ქვეყნის ეროვნული სახელი წაიშალა მსოფლიოს რუკაზე და შეიცვალა უცხო სახელწოდებით „საფრანგეთის ინდოჩინეთი". მაგრამ ჩვენს ხალხს ერთ დღესაც არ შეუწყვეტია თავისი ბრძოლა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეებმა, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებმა უდიდესი გავლენა მოახდინა ვიეტნამელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელ მსვლელობაზე. ჩვენი ქვეყნის პირველი კომუნისტია ამხანაგი ხო ში მინი, რომელიც 1920 წელს შევიდა საფრანგეთის კომუნისტურ პარტიაში. 1930 წელს დაარსდა ინდოჩინეთის კომუნისტური პარტია, რომელმაც დარაზმა ხალხი ფრანგი კოლონიზატორების წინააღმდეგ საბრძოლველად. გერმანელ და იაპონელ ფაშისტებზე საბჭოთა კავშირის გამარჯვების მეოხებით 1945 წლის აგვისტოში ვიეტნამელი ხალხი დაირაზმა გაერთიანებულ ფრონტში, რომელსაც ვიეტმინი ეწოდა, კომუნისტების ხელმძღვანელობით აჯანყდა და დაამხო უცხოელ კოლონიზატორთა და ფეოდალთა ძალაუფლება. 2 სექტემბერს ხანოიში გამოცხადებულ იქნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა.

მაგრამ ფრანგ იმპერიალისტებს თავიანთ აგრესიულ გეგმებზე ხელი არ აუღიათ და მალე ამერიკის შეერთებული შტატების აქტიური მხარდაჭერით გააჩაღეს ომი ახალგაზრდა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ვიეტნამელი ხალხი იძულებული გახდა იარაღისათვის მოეკიდა ხელი. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ფართო განმათავისუფლებელი მოძრაობა გაჩაღდა მთელ ინდოჩინეთში.

1954 წელს დიენ-ბიენ-ფუსთან ისტორიული გამარჯვების შემდეგ ჟენევის კონფერენციამ ინდოჩინეთის საკითხებზე აღადგინა მშვიდობა როგორც ვიეტნამში, ისე კამბოჯასა და ლაოსში. ჟენევის კონფერენციის მონაწილე ქვეყნებმა ცნეს ინდოჩინეთის დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. ჟენევის შეთანხმებანი აგრეთვე ითვალისწინებდნენ, რომ არაუგვიანეს 1956 წლისა ვიეტნამის ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილები უნდა გაერთიანებულიყო. მას შემდეგ ოთხ წელიწადზე მეტი გავიდა. მაგრამ ჟენევის შეთანხმებათა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება ვიეტნამის გაერთიანების შესახებ ჯერ კიდევ შეუსრულებელია. ვიეტნამი ჯერ კიდევ გაყოფილია ორ ზონად. ამის მიზეზია გარიგება ამერიკელ და ფრანგ იმპერიალისტებს შორის, რომლის შედეგად ამ უკანასკნელებმა დაუშვეს ამერიკის გავლენის ბატონობა სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე. შეერთებულმა შტატებმა გამოდევნეს თავიანთი ფრანგი პარტნიორები და ვიეტნამის ამ ნაწილში დაამყარეს თავიანთთვის სასურველი რეჟიმი, მთელი სამხრეთ ვიეტნამის ფაქტიური სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები გახდნენ.

ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენისთანავე ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას (ჩრდილოეთ ვიეტნამს) მოუხდა გადაეჭრა ეკონომიკის აღდგენასთან, კულტურის განვითარებასთან და მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ბევრი გადაუდებელი და ძნელი საკითხი. საჭირო იყო ომითა და უცხოელ კოლონიზატორთა ხანგრძლივი ბატონობით მიყენებული ჭრილობების მოშუშება.

ახლა, თვალს რომ გადავავლებთ განვლილ გზას, სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის დღიდან განვლილი დროის მანძილზე მუშათა კლასის, ჩვენი ქვეყნის მთელი ხალხის გმირულ ღონისძიებათა მეოხებით, აგრეთვე მოძმე ქვეყნების, პირველ რიგში საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უანგარო დახმარების მეოხებით, ჩვენ დავძლიეთ სიძნელენი და წარმატებით შევასრულეთ ჩვენი ამოცანა. 1957 წელი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკის წარმატებით აღდგენის დამამთავრებელი წელი იყო. ჩვენი ხალხი ეკონომიკის სოციალისტურ გარდაქმნაზე გადავიდა.

ამ პერიოდის განმავლობაში, როგორც აღნიშნავდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების VIII სესიაზე პრემიერ-მინისტრი ფამ ვან დონგი, ჩვენ გადავწყვიტეთ ორი ძირითადი ამოცანა: ძირითადად დავამთავრეთ აგრარული რეფორმა და აღვადგინეთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, ამავე დროს გადავდგით პირველი ნაბიჯები კულტურის განვითარებაში.

დიდი წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობაში. ჩრდილოეთ ვიეტნამში, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ახლანდელი ტერიტორიის ფარგლებში, ფრანგების ბატონობის დროს სულ 2 მილიონ 400 ათასი ტონა ბრინჯი მოჰყავდათ. 1957 წელს კი იმავე ტერიტორიაზე, მიუხედავად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში უმაგალითო გვალვისა, აღებულ იქნა 4 მილიონი ტონა ბრინჯი და 700 ათასი ტონა სხვა მარცვლეული კულტურები. სამხრეთ ვიეტნამს, სადაც ახლა ამერიკელი ინტერვენტები პარპაშობენ, ჰავის უფრო ხელსაყრელი პირობები აქვს. წინათ იქ 5 მილიონამდე ტონა ბრინჯი მოჰყავდათ, 1957 წელს კი მხოლოდ 2 მილიონ 800 ათასი ტონა აიღეს. ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ისეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებამ, როგორიც არის სიმინდი, კარტოფილი, ლობიო, ბამბა, კანაფი, მიწის თხილი, 1939 წლის წარმოებას გადააჭარბა. პირუტყვის სულადობამაც გადააჭარბა ომამდელი წლების დონეს. მიუხედავად მრავალი სიძნელისა, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სურსათის პრობლემა უკვე გადაჭრილია.

სოფლად იზრდება მოძრაობა საწარმოო კოოპერატივებისა და შრომითი ურთიერთდახმარების ჯგუფების შექმნისათვის. 1958 წლის გეგმით ჩრდილოეთ ვიეტნამის გლეხურ მეურნეობათა 60 პროცენტი ამ ჯგუფებში უნდა გაერთიანდეს. ამა წლის აგვისტოსათვის რესპუბლიკაში შექმნილი იყო 133 კოოპერატივი და შრომითი ურთიერთდახმარების 157.885 ჯგუფი. მათში გაერთიანებულია ყველა გლეხური ოჯახის 41 პროცენტი. გარდა ამისა, ჩვენს ქვეყანაშია არმიის მიერ შექმნილი რამდენიმე ათეული სასოფლო-სამეურნეო ფერმა და 16 სახელმწიფო მეურნეობა.

მრეწველობაშიც არსებითად მივაღწიეთ წარმოების 1939 წლის დონეს. მოძმე ქვეყნების, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ გაწეული დახმარების მეოხებით აღდგენილი და გაფართოებულია 28 სამრეწველო საწარმო, აშენდა 52 ახალი სამრეწველო საწარმო, მათ შორის მსხვილი მექანიკური ქარხანა, რამდენიმე თბოელექტროსადგური და ჰიდროელექტროსადგური. ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ახლა 107 სახელმწიფო სამრეწველო საწარმოა, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკაში დიდ როლს ასრულებენ.

თუ სახელმწიფო სექტორის 1955 წლის სამრეწველო წარმოების მოცულობას 100-ად მივიჩნევთ, 1957 წელს იგი უკვე 934-ს შეადგენდა. ჩვენმა მრეწველობამ 1955 წელთან შედარებით 24-ჯერ მეტი ფართო მოხმარების საგნები გამოუშვა.

მტკიცდება და ვითარდება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური კავშირი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან. 1957 წელს რესპუბლიკის სავაჭრო ბრუნვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთნახევარჯერ გადიდდა 1955 წელთან შედარებით. წარმატებით ვითარდება ჩვენი რესპუბლიკის სავაჭრო ურთიერთობა მეზობელ არასოციალისტურ ქვეყნებთან.

განვლილ დროში მნიშვნელოვანი გამარჯვებებია მოპოვებული კულტურულ ფრონტზე. დიდი წარმატებებია მიღწეული წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში. რესპუბლიკის გამოცხადებამდე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ამჟამად წერა-კითხვის უცოდინარობა ძირითადად ლიკვიდირებულია. 1958 წელს მას მთლიანად უნდა მოვუღოთ ბოლო.

1939 წელს მთელ ინდოჩინეთში (ვიეტნამი, ლაოსი, კამბოჯა) 500 ათასზე ცოტა მეტი მოსწავლე ითვლებოდა. 1957-1958 სასწავლო წელს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სკოლებში მილიონზე მეტი მოსწავლე იყო. ჩვენს ქვეყანაში 6 უმაღლესი სასწავლებელია, მათ შორის უნივერსიტეტი, სადაც 4 ათასი სტუდენტი სწავლობს.

რესპუბლიკას დიდი მიღწევები აქვს ჯანმრთელობის დაცვის დარგშიც. შექმნილია უფასო სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ფართო ქსელი, რაც განთავისუფლებამდე არ ყოფილა.

განუხრელად უმჯობესდება ჩვენი ხალხის კეთილდღეობა. ვიეტნამის მშრომელთა პარტია და სახალხო მთავრობა ყველა ღონისძიებას ხმარობენ იმისათვის, რომ ბედნიერი და უზრუნველყოფილი გახადონ მშრომელთა ცხოვრება. ამაში დიდი როლი შეასრულა აგრარულმა რეფორმამ, რომელმაც გამოიწვია სურსათისა და სამრეწველო ნედლეულის წარმოების გადიდება. წელს მთავრობის გადაწყვეტილებით 13 პროცენტით გაუდიდდათ ხელფასი მუშა-მოსამსახურეებს. ჩვენ მოვახდინეთ პირველი საჭიროების ძირითადი საქონლის — ბრინჯის, შაქრის, ხორცის, ფართო მოხმარების საგნების, ნავთის ფასების სტაბილიზაცია და განუხრელად განვაგრძობთ ფასების შემცირების პოლიტიკის განხორციელებას. 1958 წლის პირველ ნახევარში 1957 წლის იმავე პერიოდთან შედარებით ფასები შემცირებულია 12 პროცენტით.

1957 წელს ეკონომიური და კულტურული მშენებლობის საჭიროებისათვის ქვეყნის ბიუჯეტის 61,8 პროცენტი დაიხარჯა. თავდაცვის ხარჯებმა 21 პროცენტი შეადგინა. მტკიცედ მისდევს რა მშვიდობის პრინციპებს და განუხრელად ასრულებს რა ჟენევის კონფერენციის გადაწყვეტილებებს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 80 ათასი კაცით შეამცირა შეიარაღებული ძალები.

1958 წლიდან ჩვენი ხალხი შეუდგა რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული განვითარების სამწლიანი გეგმის შესრულებას. ამ გეგმამ დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ გარდაქმნაში, ვიეტნამის გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ხალხი, ეყრდნობა რა ეკონომიკაში მიღწეულ წარმატებებს, აძლიერებს ბრძოლას ამერიკელი ინტერვენტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ მარადიული გახადონ ვიეტნამის გათიშვა. ამ ბრძოლაში ჩვენ ვგრძნობთ მტკიცე დახმარებას მძლავრი სოციალისტური ბანაკის მხრივ, რომელსაც სათავეში უდგანან საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, დახმარებას ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის მხრივ.

მტკიცე და განუხრელი ნაბიჯით მიდის ჩვენი ქვეყნის ხალხი სოციალიზმის მშენებლობის გზით.

**ხუან ტუნგი.**

გაზეთ „ნიან ზანის" მთავარი რედაქტორი.



უნივერსალური საბურღი ჩარხები — ხანოის მექანიკური ქარხნის პირველი პროდუქცია.

ქ. ხანოი.

## ჟენევაში გაიხსნა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების გამოფენა

**ჟენევა,** 31 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ. მ. პანშინი). დღეს აქ გაიხსნა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენებას მეორე საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე ქვეყნების გამოფენა. ეს გამოფენა მოთავსებულია ჟენევის ერთა სასახლის პარკის ტერიტორიაზე სპეციალურად ამისათვის აგებულ პავილიონში, რომლის საერთო ფართობია 7.000 კვადრატული მეტრი. ანალოგიურ გამოფენას, რომელსაც ჟენევაში უჩვენებდნენ 1955 წელს ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების პირველი საერთაშორისო კონფერენციის დროს, ეკავა მხოლოდ 1.600 კვადრატული მეტრი ფართობი.

გამოფენაზე უჩვენებენ 20 ქვეყნის მიღწევებს მეცნიერულ კვლევებში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მედიცინასა და სხვა დარგებში ატომის ენერგიის გამოყენების საქმეში.

გამოფენაზე მთავარი ადგილი უკავია სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ექსპონატების სტენდებს. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე კანადის, ჩეხოსლოვაკიის, ინდოეთის, უნგრეთის, ბელგიისა და შვეიცარიის სტენდები.

გამოფენა გახსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა დ. ჰამარშელდმა. გამოფენის გახსნას დაესწრნენ ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების მეორე საერთაშორისო კონფერენციის თავმჯდომარე საფრანგეთის უმაღლესი კომისარი ატომის ენერგიის საკითხებში ფ. პერენი, კონფერენციის მონაწილე ქვეყნების დელეგაციათა მეთაურები და სხვა ოფიციალური პირები.

სსრ კავშირის სტენდებზე უჩვენებენ თერმოატომგულის დანადგარებს, საბჭოთა კავშირში მშენებარე მძლავრი ატომის ელექტროსადგურების მაკეტებს, მსოფლიოში პირველი ატომის ყინულმჭრელ „ლენინის" მაკეტს, უნიკალურ ფიზიკურ მოწყობილობას.

დ. ჰამარშელდმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს საბჭოთა კავშირის სტენდები და დაწვრილებით გაიცნეს ექსპონატები. მათი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო თერმოატომგულის კვლევათა განყოფილების ექსპონატებმა. ეს კვლევები დიდი გაქანებით ხორციელდება საბჭოთა კავშირში. ამ განყოფილებაში უჩვენებენ ნატურალური სიდიდის დანადგარს, რომლითაც 1952 წელს საბჭოთა მეცნიერებმა გაზის განმუხტვის შედეგად მიიღეს ნეიტრონები. 1956 წელს აკადემიკოსმა ი. ვ. კურჩატოვმა ამის შესახებ მოხსენება გააკეთა ჰარუელში (ინგლისი), რითაც დასაბამი მიეცა მთელ მსოფლიოში სამუშაოთა საიდუმლოების გახსნას თერმოატომგულის სინთეზის დარგში.

ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების მეორე საერთაშორისო კონფერენციის თავმჯდომარემ პერენმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის სტენდებმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს.

გამოფენაზე საბჭოთა სტენდებმა მიიპყრეს ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო კონფერენციის მრავალი დელეგატის დიდი ყურადღება. ამერიკის შეერთებული შტატების ექსპონატებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შიპინგპორტის ატომის ელექტროსადგურის რეაქტორის ნატურალური სიდიდის მოდელს (ეს სადგური აშენდა 1957 წელს), აგრეთვე თვითეული 10 კილოვატი სიმძლავრის ორ მოქმედ ექსპერიმენტულ რეაქტორს. ინგლისის ექსპონატებს შორის ყურადღებას იპყრობს თერმოატომგულის დანადგარ „ზეტას" მოდელი. საინტერესო ექსპონატებია საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, კანადის, ინდოეთის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების სტენდებზე.

ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების ჟენევის გამოფენა გასტანს 15 სექტემბრამდე. გარკვეულ საათებში იგი ღია იქნება ფართო საზოგადოებისათვის.

## საბჭოთა კავშირი მოითხოვს სამუდამოდ აიკრძალოს ატომგულის იარაღის გამოცდა

**ბერლინი,** 31 აგვისტო. (საქდესი). დღეს ბერლინის დემოკრატიული პრესა თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავს ცნობას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხის შესახებ „პრავდის" კორესპონდენტის კითხვებზე ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის თაობაზე. გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი", ბეჭდავს რა კითხვებისა და პასუხის სრულ ტექსტს, ხაზგასმით აღნიშნავს სათაურში, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მოითხოვს სამუდამოდ აიკრძალოს ატომგულის იარაღის გამოცდა.

გაზეთი „ნაციონალ-ცაიტუნგი" აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაური წინადადებას იძლევა დაიწყოს მოლაპარაკება ატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ და რაიმე ვადით შეუზღუდველი შეწყვეტის შესახებ.

## საბჭოთა მთავრობის ახალი სამშვიდობო ინიციატივა

**დელი,** 31 აგვისტო. (საქდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხმა „პრავდის" კორესპონდენტის კითხვებზე ინდოეთის საზოგადოებრიობისა და პრესის ყველაზე ცხოველი ინტერესი გამოიწვია. იგი მიაჩნიათ საბჭოთა მთავრობის ახალ სამშვიდობო ინიციატივად.

გაზეთი „სტეიტსმენი" განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ, მაშინ როცა ეიზენჰაუერი თანახმაა შეწყვიტოს ატომგულის იარაღის ვამოცდა მხოლოდ ერთი წლით, საბჭოთა მთავრობა მოითხოვს, რომ ყველა ქვეყანამ სამუდამოდ აკრძალოს ატომგულის იარაღის ყველა გამოცდა.

## ალბანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური

**ტირანა,** 31 აგვისტო. (საქდესი). ტრადიციით ყოველ წელს 1 სექტემბერს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში იწყება ალბანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური. ალბანეთის ყველა კუთხეში მშრომელები სიხარულით ხვდებიან ამ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს.

ალბანელი და საბჭოთა ხალხების დიად მეგობრობას, წერს დღეს მოწინავე სტატიაში გაზეთი „ზერი ი პოპულიტ", საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეები, უდიდესი უანგარო დახმარება და მხარდაჭერა, რასაც უწევენ ალბანეთს საბჭოთა კავშირი, სახელოვანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. ალბანეთში, რომელიც შემოქმედებით შრომას ეწევა, ყველგან მოჩანს ამ ძმური მეგობრობის მკაფიო ნიშანი. ჩვენი ხალხი ყოველთვის იღებდა და მიიღებს უდიდეს სარგებლობას სოციალიზმის მშენებლობის მდიდარი საბჭოთა გამოცდილებიდან. ალბანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მომავალი ერთთვიური ხელს შეუწყობს იმას, რომ ჩვენი მშრომელები უფრო ღრმად გაეცნონ საბჭოთა კავშირის დიდებულ მიღწევებს, მის კეთილშობილურ ბრძოლას მშვიდობისათვის, საბჭოთა ადამიანების ფასდაუდებელ ვამოცდილებას. ვერაფერი ვერ დაარღვევს მსოფლიოში ჩვენს მტკიცე ურთიერთობასა და თანამშრომლობას, მთელი სოციალისტური ბანაკის დიად მონოლითურ ერთიანობას, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს.

## დაუყოვნებლივ და სამუდამოდ მოვუღოთ ბოლო ატომგულის იარაღის გამოცდას

**დამასკო,** 31 აგვისტო. (საქდესი). სირიის ყველა გაზეთი თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავს „პრავდის" კორესპონდენტის კითხვებზე ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხის სრულ ტექსტს.

აღნიშნავს რა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის გამო, გაზეთი „აშ-შამი" მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალ სესიას „თქვას თავისი გადამწყვეტი სიტყვა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის სასარგებლოდ".

„ხრუშჩოვი, — აღნიშნავს „არ-რაი ალ-ამი", — მოითხოვს სამუდამოდ მოეღოს ბოლო ატომგულის იარაღის გამოცდას".


**კოტე მარჯანიშვილის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის**

1958-59 წლების სეზონის გახსნა
შაბათს, 6 სექტემბერს
ვაჟა-ფშაველა
„მოკვეთილი"
დრამა 3 მოქმედებად.
კვირას, 7 სექტემბერს დღისით
ვაჟა-ფშაველა
„მოკვეთილი"
დრამა 3 მოქმედებად.
საღამოს
გ. ნახუცრიშვილი
„ჭინჭრაქა"
დრამა 4 მოქმედებად.
ორშაბათს, 8 სექტემბერს
უ. შექსპირი
„რიჩარდ მესამე"
ტრაგედია 4 მოქმედებად.
ოთხშაბათს, 10 სექტემბერს
გ. ბერძენიშვილი
„დაჭრილი არწივი"
დრამა 4 მოქმედებად.
წარმოდგენების დასაწყისი დღისით 12 საათზე, საღამოს — 8 საათზე.




ამას წინათ ბრაზილიის ქალაქ სან-პაულოში გაიმართა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მსახიობთა გამოსვლები. ბრაზილიის მაყურებლები და ხელოვნების მუშაკები გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა საქართველოს არტისტებს.

**სურათზე:** ბრაზილიელი მსახიობები ესალმებიან ვ. წიგნაძესა და ვ. ჭაბუკიანს.

ფოტო ნოტისიას დე' ოჟესი (საქდესის ფოტოქრონიკა).

## სპორტის ამბები

### ტურნირი პორტოროჟში

**პორტოროჟი,** 31 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ. გროსმაისტერი ე. გელერი). მე-15 ტურში სწრაფი გამარჯვება მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონმა ტალმა. მისმა მოწინააღმდეგემ დანიელმა ლარსენმა, რომელიც შავებით თამაშობდა, არცთუ ცუდად გაითამაშა დებიუტი და პერსპექტივიანი პოზიცია მიიღო, მაგრამ საკმარისი იყო ლარსენს რამდენადმე დაეყოვნებინა როქის გაკეთება, რომ ტალმა ხელთ იგდო ინიციატივა. ლარსენის შემდგომ უზუსტობას მოჰყვა ის, რომ საბჭოთა გროსმაისტერმა პაიკის შეწირვით გააშიშვლა მოწინააღმდეგის მეფის პოზიცია. სწრაფი იერიშის შედეგად უკვე 24-ე სვლაზე ლარსენი დანებდა. ამ გამარჯვებით ტალი დაეწია პეტროსიანს, რომელმაც ყაიმით დაამთავრა პარტია ავერბახთან.

ფანტასტიკურად ვითარდებოდა შერვინ (ამერიკის შეერთებული შტატები) — ბრონშტეინის პარტია. პირველი ექვსი სვლიდან დებიუტში, რომელიც არ მოიპოვება ჭადრაკის თეორიაში, ბრონშტეინმა ხუთჯერ სვლა გააკეთა ორი ფიგურით. შეიქმნა სრულიად უჩვეულო პოზიცია. ბრონშტეინმა თანდათან შეავიწროვა თავისი მოწინააღმდეგე და მოიგო პაიკი. წაგებულ მდგომარეობაში შერვინმა გადააცილა დროს. დეგრეიფმა (კოლუმბია) მოუგო ფიშერმა (ამერიკის შეერთებული შტატები). მატანოვიჩმა (იუგოსლავია) დაამარცხა ფიუშტერი (კანადა), გლიგორიჩმა (იუგოსლავია) მოუგო კარდოსოს (ფილიპინები). ყაიმით დამთავრდა პახმან (ჩეხოსლოვაკია) — როსეტოსა (არგენტინა) და საბო (უნგრეთი) — ბენკოს შეხვედრები. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

15 ტურის შემდეგ წინ არიან პეტროსიანი და ტალი, რომელთაგან თვითეულმა 10,5 ქულა მოაგროვა.

## ფეხბურთი

### საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები

**პრაღა.** 30 აგვისტო. აქ გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის პირველი ნაკრები გუნდები. ანგარიშით 2 : 1 გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

**მოსკოვი.** 30 აგვისტო. „დინამოს" სტადიონზე თამაშობდნენ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა ანგარიშით 5 : 0.

**მოსკოვი.** 31 აგვისტო. სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა მეორე ნაკრები გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1 : 1.

**პრაღა.** 31 აგვისტო. ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდული ნაკრები ფეხბურთელთა გუნდი შეხვდა სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებ კოლექტივს. ანგარიშით 3 : 2 გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკელმა სპორტსმენებმა

### სსრ კავშირის პირველობაზე

**კუიბიშევი.** 30 აგვისტო. აქ გაიმართა მორიგი კალენდარული შეხვედრა ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე „ა" კლასის გუნდებს შორის. თამაშობდნენ ადგილობრივი „კრილია სოვეტოვისა" და ლენინგრადის „ადმირალტეეცის" ფეხბურთელები. გაიმარჯვეს ვოლგელმა სპორტსმენებმა ანგარიშით 3 : 0.

**თბილისი.** 30 აგვისტო. „ბურევესტნიკის" სტადიონზე მორიგ მატჩში სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში ერთმანეთს შეხვდნენ „ბ" კლასის I ზონის გუნდები ადგილობრივი „ბურევესტნიკი" და ასტრახანის „ტრუდი". შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 8 : 2.

### საქართველოს თასზე

31 აგვისტოს თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა ნახევარფინალური მატჩი ფეხბურთში საქართველოს თასზე. თამაშობდნენ თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი და ბათუმის „დინამო". 90-წუთიანი შეხვედრა დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1:1. დამატებით დროში ბათუმელებმა 2 ბურთი გაიტანეს თბილისელთა კარში და მოიგეს შეხვედრა — 3 : 1.

ფეხბურთში საქართველოს თასის გათამაშების ფინალში ბათუმის „დინამო" შეხვდება ფოთის გუნდს.

### შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში

31 აგვისტოს მოსკოვის ახლო საპლანერო სადგურთან დამთავრდა შეჯიბრება სსრ კავშირის პირველობაზე თანამედროვე ხუთჭიდში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები.

ჩემპიონობა მოიპოვა ლენინგრადელმა არმიელმა სპორტსმენმა ა. ტარასოვმა, მეორე ადგილზე გამოვიდა ნ. ტატარინოვი (ლენინგრადი), მესამეზე — ი. ნოვიკოვი (სომხეთი).

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა. მეორე ადგილი მოიპოვეს მოსკოველმა ხუთჭიდელებმა. მესამე ადგილზე გამოვიდნენ სომხეთის წარმომადგენლები.

რედაქტორის მოადგილე
**დ. სტურუა.**


**თბილისის თეატრებში**

**გრიბოედოვის სახელობის** — ღვთისმოშიში მართა, **ფილარმონიის საზაფხულო** — „ფრასკიტა" (ოდესის მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი).

**კინოთეატრებში**

**ოქტომბერი, ამირანი** (საზამთრო), **სპარტაკი, ისანი** (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — ტორეადორი, **ფილარმონიის ბაღი, ამირანი** (საზაფხულო), **კიროვის სახელობის პარკი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო), **კომუნარების ბაღი** — ოქროს სიმფონია, **ისანი** (საზაფხულო) — სათავგადასავლო კინოფილმების ჩვენება, **კოლხიდა** (საზამთრო), **კომკავშირელი, კოლმეურნე, დიდუბე** (საზამთრო), **ვაკის პარკი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — ველოსიპედისტის სიკვდილი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — მისი დრო მოვა, **საქართველო** (წითელი დარბაზი) — პოლიციელები და ქურდები.

**თბილისის „დინამოს" სტადიონი**

ბრძოლის ქ. № 2
(ტელ. №№ 3-21-62, 3-26-17)
3 სექტემბერს
**ფეხბურთი**
საქართველოს სსრ თასის გათამაშება
(ფინალი)
**„დინამო" (ბათუმი) —**
**ქ. ფოთის გუნდი**
დასაწყისი 5 ს. 15 წ.


**ტელეგადაცემათა პროგრამა**

**2 სექტემბრისათვის**

19.55 — ზუგდიდის თეატრის, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის დასკვნითი საღამო-კონცერტის ტრანსლაცია მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრიდან.


დები მარიამ, ქეთევან, ანეტა, ძმები ჯარისმან, დიმიტრი ჭყონიები ოჯახით იუწყებიან ექიმ
**თამარ იაგორის ასულ ჭყონიას**
გარდაცვალებას. გამოსვენება 2-IX, 6 ს. პლეხანოვის პროსპ. № 60.



რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ, № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65,

უე 06401 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14. 2